წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

პარასკევი, 15 აპრილი, 1921 წ.

№ 36 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუშათა მღელვარება დიდ ბრიტანეთში

ძველი ს მშობლო კაპიტალიზმის და მასიური, თუმცა რეფორმისტული, პროფესიონალური მუშათა კავშირების, დიდი ბრიტანეთი, განიცდის დღეს ერთ უდიდეს და მწვავე მომენტს თავის ისტორიისას. მსოფლიო მეურნეობის გამანადგურებელმა ომმა ღრმათ შეარყია, როგორც მისი საგარეო, ისე შინაური ურთიერთობანი. სრულიად დამოკიდებულს, როგორც თავის გეოგრაფიული მდგომარეობით, ისე საკუთარი სასოფლო მეურნეობის შედარებითი სისუსტით, გარე ქვეყნებისა და მსოფლიო ბაზრისაგან, ცხადია, თავის თავზე უნდა განეცადა მას დაწყვეტა ყველა მათთან შემაკავშირებელი სასიცოცხლო ძაფების, რაც ბუნებრივათ უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც დღეს თითქოს გათავებულ ომს. წინააღმდეგობანი კაპიტალისტური ეკონომიკის და ანარქია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, დამახასიათებელი ამ რეჟიმისთვის, კიდევ უფრო გაალმასდენ და გართულდენ ომის შემდეგ ხანაში საზოგადოთ ყველგან და განსაკუთრებით ინგლისში. ყველაზე უფრო მტკივნეულათ გრძნობს ასეთ შედეგებს, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, მუშათა კლასი და ეს ბედი ეწვია კერძოთ ინგლისის მშრომელ მასსებს. ის შედარებით მატერიალური „კეთილდღეობა", რომელშიაც ის იმყოფებოდა მისი ქვეყნის მსოფლიო მეურნეობაში განსაკუთრებული, მონოპოლიური მდგომარეობის გამო უკანასკნელ ოც წლამდე, ძირიანათ შეირყა და მხოლოთ მოგონებათღა იქცა. ომის მიერ შექმნილმა პირობებმა დამწვარს კიდევ მდუღარე გადაავლო. ამის გავლენით ინგლისის პროლეტარიატი, როგორც თავისი ეკონომიური მდგომარეობით, ისე სოციალ-პოლიტიკურ მისწრაფებებით, დღეს ის აღარ არის, რაც იყო წინეთ და მისი „მოშინაურებით", როდესაც დამშვიდებულ ინგლისის ბურჟუაზიას უმზადებდა ის არა სავსებით წყნარ და ტკბილ წუთებს. ამის თავდებია უკანასკნელი წლების მღელვარება, რომელმაც მოიცვა კუნძულის პროლეტარიატი და ამისვე აშკარა მაჩვენებელია ის ამბები, რომლის ასპარეზათ არის გადაქცეული დღეს ეს ქვეყანა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა და თავისი შედეგებით განუზომელ შესაძლებლობათა ამბების მოწამენი ვართ ამ ჟამათ ინგლისის მემაღაროების მოძრაობის გამო. მთელს კუნძულზე მაღაროებში მომუშავეთა გაფიცვაა. მის დასახმარებლათ ემზადებიან უძლიერესი კავშირები ტრანსპორტისა და რკინისგზელებისა. შესაძლებელი კატასტროფის მოლოდინში ფეხზეა დაყენებული ამ მიზნისთვის სპეციალურათ გამზადებული სამოცდაათი ათასი ხიშტი. მიხდა მობილიზაცია საზღვაო და ჰაერის ფლოტის, გაფრთხილებული არიან სარეზერვო ნაწილები. ერთი სიტყვით, მთელი ქვეყანა ბარიკადის ორივე მხრივ ჩაბმულია საომარ სამზადისში. ყველგან თოფის წამლის სუნი ტრიალებს, ჩვენ ვუახლოვდებით სამოქალაქო ომის მომენტს. შესძლებს თუ არა სოციალურ ბრძოლაში გამოქნილი ინგლისის ბურჟუაზია თავის უდიდესი იეზუიტის, ლლოიდ-ჯორჯის მეთაურობით მოახდინოს კონფლიქტ'ს მშვიდობიანი ლიკვიდაცია—ამას ჩვენ მალე გავიგებთ. ყოველ შემთხვევაში წარსული ამ ბრძოლის, მდგომარეობა მეომარ მხარეების, განსაკუთრებული გავლენა, რომელიც კიდევ შერჩენია სოციალ-მოღალატეთა ჯგუფებს ინგლისის პროლეტარიატის ზოგ მნიშვნელოვან წრეებზე, გვავალებს ერთნაირი სიფრთხილეს მიმდინარე ამბების და მათი შესაძლებელი შედეგების დაფასებაში. ერთი კი ცხადია: ის კითხვები, რომლებიც იწვევენ დღეს უდიდეს სოციალურ შეხლა-შემოხლას, მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან მთელი ეკონომიური სისტემის შეცვლასთან ინგლისში. ამ კითხვების სახით ჩვენ წინ წამოჭრილია, თუმცა ნაწილობრივ, პრობლემა ძალა-უფლების, ე. ი. იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დარჩეს საბოლოოთ სახელმწიფოს სათავეში: ისევ გაბატონებული კლასები, თუ ეს ძალა ხელთ უნდა იგდოს ინგლისის პროლეტარიატმა. ამ კითხვათა კითხვის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია: დასასრული მიეცეს ორ ანტაგონისტთა შორის არა გუშინდლიდან დაწყებულ კონფლიქტს. მაღაროებში ეპატრონეთა კომპანიებისა და მუშათა შორის ატეხილ დავის ჩაქრობას, მის მშვიდობიანათ დაბოლოებას, არა ერთხელ ცდილა მთავრობა და გაუმარჯვია კიდევაც მემაღაროე მუშების დამარცხებით პატრონების სასარგებლოთ. შარშანდელი დიდი შეტაკება დათავდა სწორეთ მუშების ასეთი დამარცხებით. ისინი მოითხოვდნენ მაღაროების ნაციონალიზაციას, მუშათა კონტროლს, ხელფასის მომატებას და რომ უკანასკნელი მოთხოვნის დაკმაყოფილებით მაღაროების პატრონებს არ ესარგებლათ და მუშების ხელფასის გადიდება არ აენაზღაურებიათ ფართო მომხმარებლების ისედაც ცარიელი ჯიბიდან და მით არ შეექმნათ მათი უკმაყოფილება, მემაღაროების წინააღმდეგ მოხერხებულათ მიმართული, რომლითაც ისინი გასტეხდენ მშრომელთა ერთსულოვანებას—ამიტომ მოთხოვნილებათა შორის წამოყენებული იყო აგრეთვე კითხვა ქვანახშირზე ფასის დაკლების შესახებ, რომლის დადებითად გადაჭრასაც მოითხოვდნენ გაფიცულები. ეს ბრძოლა დათავდა პროფესიონალური ბიუროკრატიის მოღალატური ზომების გამო. ორი მებრძოლი მხარის შეთანხმებით და, რასაკვირველია, ისევ და ისევ მუშების სრული დამარცხებით, რადგან მხოლოდ ხელფასის მომატებაში მიიღეს მათ დათმობა მაღაროს პატრონებისაგან და ისიც იმ პირობით, თუ შრომის ნაყოფიერება მოიმატებდა მაღაროებში. ამნაირათ უმთავრესი კითხვები, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, დარჩა დროებით გადაუწყვეტელი, მთელი კომპანია დათავდა მუშებისათვის საზიანო კომპრომისით. იგივე კითხვებია წამოჭრილი დღეს და მოითხოვენ გადაჭრას.

ბრძოლა, რომელიც ახალი ენერგიით დაიწყო ინგლისის პროლეტარიატმა დღეს, მიმდინარეობს შედარებით უკეთეს პირობებში იმ აზრით, რომ მას გათვალისწინებული აქვს, როგორც მიზეზები წარსული დამარცხების, ისე აუცილებელი პირობა მომავალი გამარჯვების. მათ ბურჟუაზიის აგენტების მეთაურობით ცხადია, არ შეუძლიათ გაიმარჯვონ დაწყებულ კონფლიქტში. ეს აშკარა ჰყო წარსულმა. ამიტომ მისი ძლევამოსილი ბრძოლა მიმართული უნდა იყოს, როგორც, ბურჟუაზიის, ისე იმ ბელადებისა და პროფესიონალური ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურათ უმორჩილებს მუდამ ინგლისის პროფესიონალურ კავშირებს ნაციონალურ ბურჟუაზიას.

**შეურიგებელი ბრძოლა წინააღმდეგ ბურჟუაზიისა, წინააღმდეგ სოციალ-მოღალატეებისა ძალა-უფლების ხელში აღებათ. მხოლოთ ამ გზით შეუძლიათ მიაღწიონ ინგლისის მემაღაროებმა თავის მიზანს.**

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### „მარკიზის წუმპე"

„ყველა, ვინც გრძნობს, რომ იქ, „მარკიზის წუმპეში", კეთდება მისი საკუთარი საქმე, უნდა მივიდეს და დაეხმაროს მას.—დაეხმარეთ!"—ასე გაიძახის კრონშტადტზე მილიუკოვის გაზეთი „უკანასკნელი ამბები" (9 მარტის №.-ში).

და იქვე არის მოკლე, მაგრამ მეტად მეტყველი ცნობა: „გუშინ შესდგა, **მრავალრიცხოვანი სხდომა რუსული კომერციული ბანკების კომიტეტის წარმომადგენელთა,** კრონშტადტისათვის სასწრაფო სასურსათო დახმარების აღმოჩენის საკითხის განსახილავათ. ცალკე საზოგადოებრივი ბანკების მიერ გაღებული თანხა გამორკვეული იქნება არა უგვიანეს დღევანდელი დღისა და დაუყონებლივ გადაგზავნილი პროფ. ცეიდლერის სახელზე. ნაღდი თანხის გამოგზავნის გარდა, **ბანკების კომიტეტმა დაადგინა, მიმართოს ფინლიანდიის** ბანკებს წინადადებით, რომ გაუხსნან რუსულ ფინანსიურ დაწესებულებებს კრედიტები ფინლიანდიაში სურსათ სანოვაგის შესაძენად. **ნიკოპოლ-მარიუპოლის სამეტალურგიო საზოგადოებამ** გადასდო საბანკო კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებაში 20 ათასი ფრანკი".

ფრანგულ ენაზედაც, ფრანგ შავრაზმელ ერვეს გაზეთი „გამარჯვება"-ში, 7 მარტის №-ში, მოთავსებულია ასეთივე გოდება ბურცევისა: „მოკავშირენი ნაკლებათ ფიქრობდნენ ნამდვილი დახმარება აღმოეჩინათ რუს პატრიოტებისათვის—კოლჩაკ, დენიკინ და ვრანგელისათვის, რომელნიც ჩვენი საერთო მტრებთან — ბოლშევიკებთან უსწორო ბრძოლაში ლევდნენ თავის ძალებს; ისინი, მოკავშირენი დღევანდლამდი შეცდომით ეხმარებოდნენ იმათ, ვინც რუსეთს ანაწილებდა. მაგრამ ჩვენ, ჩვენ რუსი პატრიოტები (!!) შეურყეველნი დავრჩით ჩვენს იმედში, რომ გავიმარჯვებთ და ჩვენს სამშობლოს გავანთავისუფლებთ. და აი ეხლა შორიდან ჩვენთვის ისევ გამოანათა ხსნის სხივმა.

„ჩვენთვის", ესე იგი, კოლჩაკისა, დენიკინისა და ვრანგელისათვის!

„დაეხმარეთ კრონშტადტს! დაეხმარეთ!" გაიძახის ბურცევი. სტატიას ქვევით ვტყობილობთ, თუ რა გამოძახილი იპოვა მისმა მოწოდებამ: „კრონშტადტის ამბების შესახებ ცნობების მიღებისთანავე, რუსულ სამრეწველო სავაჭრო და ფინანსიურ ორგანიზაციებმა მიიღეს ზომები აჯანყებულთა მარაგით დასაკმაყოფილებლად. კრონშტადტის მომარაგება უზრუნველყოფილია". ხელმოწერა: **„ფრანგული სავაჭრო და სამრეწველო კავშირი პარიზში", „პარიზის კავშირი ვაჭრობისა და მრეწველობისა", „ვაჭრობისა და მრეწველობის კავშირის ხაზე".**

**კრონშტადტის დასახმარებლად მაშინათვე გამოვიდნენ ფრანგი ბანკირები, თავის რუს კომისიონერების საშუალებით.**

კრონშტადტის „რევკომის" ერთმა წევრთაგანმა, კუსტოვმა, განუცხადა საპყრობილეში ამხ. კუზმინს: „მეგობრებო, არავითარ შეიარაღებულ დახმარებას გარედან არ მივიღებთ. მაგრამ **როდესაც წითელი ჯვარი—თქვენ გესმით, წითელი ჯვარი?—გვაწვდის პროდუქტებს, ჩვენ,** რასაკვირველია, მას მივიღებთ".

თუ ჩვენ ამას მივუმატებთ პრიბალ**ტიკაში მყოფ ამერიკელ წითელ ჯვრის წარმომადგენლის, პოლკოვნიკ რაიანას ცნობას, რომ „პეტროგრადის აჯანყებულებს ჯერ არ დაუკერიათ რეგულიარული დამოკიდებულება კრონშტადტის კომიტეტთან და ის თხოვს ამერიკულ წითელ ჯვრის ცენტრალურ მმართველობას, აცნობონ მას, თუ სად გაგზავნოს სურსათი, კრონშტადსა თუ პეტროგრადში"**—მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება.

**„წითელი ჯვარი"** - ეს შირმაა ფრანგ **ამერიკელ და რუს ბანკირებისათვის,** რომელნიც სპეკულიაციას ეწევიან კონტრ რევოლიუციაზე. მათ ყველაფერი მომზადებული ჰქონდათ. მათთვის საჭირო იყო მხოლოდ რამოდენიმე დღე, რომ გაემეორებიათ ყველაფერი ის, რასაც ისინი აქამდი სჩადიოდნენ ჩეხო-სლოვაკების, დამფუძნებლების, კოლჩაკის, დენიკინის და ვრანგელის დახმარებით.

კრონშტადტის რევკომს, რომელიც მეტის მეტად, ვითომ ემყარებოდა იმას, რომ მას იხსნიდა „მემარცხენობა" და „უპარტიობა", ნამდვილად იმედი ჰქონდა ბანკირთა „ძალების" სწრაფი მოშველების, რომ საჩქაროდ ჩამოეხსნა ნიღაბი თავის ბნელ საქმისათვის. „მარკიზის წუმპეს" გარშემო გროვდებოდა მთელი საერთაშორისო არამზადათა ბრბო. რეიტერის სააგენტომ მთელ ქვეყანას მოფინა ცნობა, რომ ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება არ იქნება მოწერილი, რომ სურსათი და პირველ მოთხოვნილების სხვა საგნები შეუძლიათ რუს მუშებს და გლეხებს მიიღონ საზღვარ-გარეთიდან მხოლოდ მილიუკოვის საბანკირო „მარკიზის წუმპე"-დან. და ისინი მაინც მოტყუვდნენ, შეცდნენ ისინი, ვინც თავის პარიზელ გაზეთებში, კრონშტადტისადმი დითირამბების შემდეგ, ათავსებს ასეთ განცხადებებს: „სად შეიძლება პარიზში რუსული ჭამა-სმა? —მხოლოდ ჟილბერთან! არაყი და საუზმე. სადილები შეკვეთით. ორკესტრი. მყუდრო განცალკევებული კაბინეტები ვახშმები თეატრის შემდეგ, ყოველ დროს".

მათ სურდათ მუშურ-გლეხური ხელისუფლების გვამზე გადევლოთ, პირდაპირ „მარკიზის წუმპედან" მოხვედრილიყვნენ თავის მყუდრო ცალკე დარბაზებში, რომ გაემართათ რუსული ჭამა-სმა.

ხოლო ბრმა უგნურებს სჯეროდათ მათი!...

გ. საფაროვი.

(„პრავდა" № 62. 23 მარტი 21 წ.)

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. პრეობრაჟენსკი.** (გაგრძელება). მე ვფიქრობ, თქვენ წინააღმდეგი იქნებით იმ ორნაირი ბრუნდი გზის, რომლებზედაც შესდგა ჩვენი პარტია. ერთია ის, რომ მთელი საგანმანათლებლო მუშაობა გადაეცეს მთავარ საპოლიტიკო სახალხო განათლების კომიტეტს. ეს არ გამომდინარეობს კომუნიზმის პროპაგანდის ორგანიზაციის იმ დონედან, რომელზედაც ეს საქმე სდგას. მეორე გადახრა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ამხანაგებმა დაინახეს, ნაწილი მუშაობისა, რომელიც სწარმოებს მასსიური მასშტაბში და გადადის მთავარ საპოლიტიკო სახალხო განათლების კომიტეტის დარგში, უნდა გასახელმწიფოებრივდეს, და აი აქ არის საშიში, რომ ეს მიგვიყვანს მუშაობის მიდუნებამდე, რომ ის შეიქნება ნაკლებ ცხოველმყოფელი, რომ მას ღირსეულად ვერ განასახიერებენ ეს ორგანოები. ამ გასახელმწიფოებრივობის პროცესს და პარტიულ მუშაობის განსაზღვრას ისინი მავნე პროცესად სთვლიან, რომელიც შეაფერხებს ფართო მასშტაბით მუშაობას აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოების დროს. ეს არ არის მართალი. ჩვენ წინაშე სწარმოებს სახელმწიფო აპარატის კომუნისტურად გარდაქმნის პროცესი.

ეს აბსოლიუტურად პროგრესიული პროცესი არის, მას მხარი უნდა დაუჭიროთ, ის გარემოება კი, რომ ჩვენი პარტიული ძალები, რომელთაც უნდა აწარმოვონ მასსიურ მასშტაბით ეს პროპაგანდა, თავს იკრებენ არა პარტიის საპროპაგანდო ნაწილების გარშემო სახელმწიფოს განათლების აპარატზე, ცხადი მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად გავიზარდენით, როგორც პროლეტარული სახელმწიფო, თუ რამდენათ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ იმ ნაწილში, საცა სწარმოებს გარდაქმნა კომუნისტურ პირობებისა, სახელმწიფო აპარატის ფუნქციებში. ეს მუშაობა კომუნისტურ გარდაქმნისა ნამდვილ აბსოლიუტურ პროგრესიულ პროცესად უნდა ჩავთვალოთ. ცხადია ჩვენ ვერ მოვერეოდით ამ საკითხებს, თუ რომ განათლების ორგანოები არ ყოფილიყვნენ ნამდვილი კომუნისტური ორგანოები. არ არიან მართალნი ის ამხანაგები, რომელთაც ეშინიათ ამ პროცესის, იმიტომ რომ ის ახალია, აშინებთ ეს პროცესი, ჯერ არ ნახული და გაგონილი.

ისინი, როგორც კონსერვატიულ მიდრეკილების მატარებელნი, უცქერიან ამ პროცესს, როგორც რაიმე საშიშროებას მომავალში. მაგრამ ეს ამხანაგებიც შეცვლიან თავისს თვალსაზრისს იმის და მიხედვით, რამდენადაც საგუბერნიო საპოლიტიკო სახალხო განათლების და მთავარ საპოლიტიკო სახალხო განათლების განყოფილებები გადაიქცევიან იმ ორგანოებად, რომლებსაც ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია უშუალოთ, რომელსაც ჰყავთ საკმაო რიცხვი მუშაკებისა რომელნიც, იჩენენ უაღრეს გამოსადეგრობას.

აი რა მინდოდა მეთქვა პარტიულ ორგანოთა და მთავარ საპოლიტიკო სახალხო განათლების განყოფილების ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ. არსებობს კიდევ მთელი რიგი საკითხებისა, რომელნიც შეეხებიან ორგანიზაციულ განსაზღვრას იმ მუშაობისას რომელსაც ეწევიან პროფესიონალური კავშირები და მთავარი საპოლიტიკო სახალხო განათლების განყოფილება. ისინი არ იწვევენ დიდ კამათს. ჩვენ ურთიერთ შორის შეთანხმებით შევქმენით ისეთი ურთიერთობა, როდესაც მთავარ საპოლიტ. სახ. გან. განყოფილებასთან უკვე არსებობენ პროფესიონალ. კავშირთა სექციები.

ეს მუშაობა უკვე გაერთიანდა და არავითარი სიძნელე არ შეგვხვედრია. შემდეგ საკითხს წარმოადგენს დამოკიდებულება ახალგაზრდათა კავშირთან. ჩვენ მოგვიხდა რამდენიმე სიტყვიერ ბრძოლის წარმოება, ვინაიდან ამხანაგები ახალგაზრდათა კავშირიდან არ გვეთანხმებოდენ იმაში, რომ მთავ. საპ. სახ. გან. განყოფილებამ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა და პასუხი აგოს იმ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობისთვის, რომელიც სწარმოებს ახალგაზრდათა კავშირის წევრთა შორის კი არა, არამედ გლეხთა ახალ-გაზრდობის შორის, და ამიტომ აღნიშნული განყოფილება ახალგაზრდათა კავშირს უყურებს როგორც თავის კონტრ აგენტს ამ მუშაობაში. ამ განყოფილებამ უნდა მოსთხოვოს, რომ ახალგაზრდათა კავშირმა თავისი გეგმები შეუფარდოს მთავარ საპოლიტ. სახ. განათლ. განყოფილების გეგმებს და აზრთა სხვა და სხვაობის დროს დაემორჩილოს პროპაგანდის გეგმებს. ამას ახალგაზრდათა კავშირის ამხანაგები არ დაეთანხმნენ, იმიტომ რომ ელანდებოდათ ვითომც მათ დამოუკიდებლობას ვინმე ეხებოდა. საქმე ცალზე იყო. ეს პრინციპი კი სრულიად უდავოა, რამდენადაც მთ. საპ. სახ. გან. განყოფილება პასუხს აგებს იმ მუშაობის ნაწილში, რომელსაც კონტრ აგენტის სახით, აწარმოებს ახალგაზრდათა კავშირი. ახალგაზრდათა კავშირი, რომ სწორედ აწარმოებდეს მუშაობას, მაშინ ვინ უნდა აგოს პასუხი? ერთის მხრივ პარტიამ, მეორე მხრივ პასუხს აგებს მ. ს. ს. გ. განყოფილება იმდენად, რამდენადაც მას გადასცა პარტიამ ეს მუშაობა.

ახალგაზრდათა კავშირმა უნდა შეუფარდოს ერთმანეთს თავისი გეგმები და დაუქვემდებაროს იგინი საზოგადო სახელმწიფოებრივ გეგმებს. ჩვენ მოგვივიდა ახალგაზრდათა კავშირთან უთანხმოებანი პროფესიონალურ კავშირთა შესახებაც: მოვაწყოთ სექციები მთავარ საპ. სახ. განათლების განყოფილებასთან თუ არა? ეხლა მუშაობა შეხმატკბილებულად სწარმოებს, არავითარ შეხლას ადგილი აღარ ჰქონია და აღარც ექნება.

რაც შეეხება რესპუბლიკის პოლიტიკურ რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს გამგეობის აპარატს, ეს საკითხი მეტად დიდი მნიშვნელოვანია. თქვენ ყველამ უწყით, თუ როგორ მოეწყვენ ამ აპარატის გარშემო მთელი რიგი ფუნქციებისა, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება მასთან არა ჰქონდათ, როდესაც ჩვენ ვქმნიდით მას, როგორც ცალკე აპარატს, რომელიც დამოუკიდებლად დამორჩილებული იყო პარტიასთან და იმავე დროს წარმოადგენდა სახელმწიფო აპარატს, იმ ფუნქციების გარეშე, რომელიც დამოუკიდებლად უნდა ეწარმოებია მას. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, რომელიც სწარმოებდა პარალელურად სახალხო განათლების კომისარიატის სათანადო ორგანოებთან, ითხოვდა დიდ ძალებს, იწვევდა კონკურენციას იმ მხრივ, რომ გადაებირა ესა თუ ის ძალები, ითხოვდა დიდძალ მატერიალურ რესურსებს, უთავბოლო ქაღალდის ფლანგვას, და ნამდვილათ კი გაცილებით უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე რამეს იძლეოდა. ეს ნაწილი მუშაობისა აუცილებლივ უნდა გაერთიანებულ იქმნეს მისგან, და რამდენადაც ამ ჟამად „პურას" აპარატები შეერთებულია საგუბერნიო პოლიტიკურ განმანათლებელ კომიტეტთან, ეს ნაწილი მუშაობისა არასდროს არ დაუბრუნდება „პურას" თუ გინდაც სამხედრო მოსაზრებით, ახალ ომის გამო, აღვადგინოთ პურა, იმიტომ რომ ის ძლიერ თეთრი ძაფებით იყო მიკერებული. რაც შეეხება „პურას", როგორც ისეთ ორგანოს, რომელმაც უნდა შეაკავშიროს მუშაობა დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებათა, რომელნიც არსებობენ როგორც საველე დივიზიები. ეს საკითხი ჯერ გადაუწყვეტელი არ არის. მე ჯერ არ ვიცი, კონკრეტიულად როგორ გადავწყვეტთ ამ საკითხს ორგანიზაციულად, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვიზრუნოთ, რომ მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტს შეეძლოს „პურას" ყველა ფუნქციების შესრულება, ცხოვრების პირობების მიხედვით და იმ შემთხვევაში. თუ ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომი გაჩაღდა, მაშინ ისე უნდა გაანაწილოს თავისი ძალები, რომ მთელი ცენტრი თავის ყურადღებისა მიაპყროს ლაშქრის სამსახურს.

მეორე მხრივ ჩვენ შეგვიძლიან დავუშვათ ის რწმენა, რომ „პურა" ხელმძღვანელობს რა საპოლიტიკო განყოფილებას, იმავე დროს შედის მთავ. საპ. სახ. გან. კომიტეტის სისტემაში, წარმოადგენს ინსპექციის მაგვარ ორგანოს და თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ასრულებს თავის ფუნქციებს მთ. საპ.სახ. გან. კომიტეტი.

კიდევ საკითხი, რომელიც საპ. ეხება მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტის და სახალხო განათლების კომისარიატის ურთიერთ დამოკიდებულებას ერთის მხრივ და პარტიასთან დამოკიდებულებას მეორე მხრივ. როდესაც ჩვენ

# დღეს ნომერში:

**ინგლისში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება. რკინის გზელები, ტრანსპორტის და მალაროების მუშები საერთო გაფიცვის წინ.**

**ზაფხულში პრეზ. გარდინგი იწვევს ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა კონფერენციას, რომელზედაც განხილული იქნება საკითხები მოკავშირეთა ვალების, ზარალის ანაზღაურების და საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ.**

**აღმოსავლეთის კომუნისტ ქალების თათბირი მოსკოვში.**

დავაარსეთ მთ. საპ. სახ. გან. კომიტეტის ორგანოები, დიდი ხალისით მოვსპეთ პოლიტიკური განყოფილება, რომელიც ახლად იყო ჩასახული, გადავეცით მთ. საპ. სახ. გან. განყოფილებას და მოსვენებით ამოვისუნთქეთ, — აღმოჩნდა განსაზღვრული მიმდინარეობა, რომელიც ამბობდა, რომ მთ. საპ. სახ. გან. კომიტეტის ორგანოები უნდა გადიქცნენ კომუნიზმის საპროპაგანდო სახელმწიფო ორგანოებად, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს პარტია, და სახალხო განათლების კომისარიატს კი არ ეკავშირებს, ამხანაგები იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ სახალხო განათლების კომისარიატს ჯერ კიდევ საკმაო კომუნისტური ძალები არ გააჩნია. ხშირად ადგილობრივ უმთავრეს განყოფილებები და ქვედა განყოფილებებს ხელმძღვანელობდენ უპარტიონი. რამდენადაც იგივე პოლიტიკურ განათლების კომიტეტი წარმოადგენს სახალხო განათლების ერთ-ერთ ნაწილს, იმდენად ისინი ძალიან საშიშოთ სთვლიდნენ ამ ორგანოს ჩამოშორებას საგუბერნიო კომიტეტიდან და დატოვებას სახალხო განათლების კომისარიატის სისტემაში.

ამიტომ ეს ამხანაგები მომხრე იყვნენ იმ აზრისა, რომ მთ. საპ. სახ. გან. კომიტეტი, გამოყოფილ უნდა იქმნეს როგორც საგანგებო კომისარიატი, ჩამოაშორონ იგი სახალხო განათლების კომიტეტს და დამოუკიდებლივ დაუკავშირონ პარტიას ისეთ ნაირად, რომ მთ. საპ. სახ. განათლების კომიტეტს არ ჰქონდეს ყველა ის ნაკლი, რომელიც თან სდევს სახალხო განათლების კომისარიატს, უფრო ჩამორჩენილს, იმიტომ რომ ბუნებრივად თხოულობდა უფრო მეტ კომუნისტურ ძალებს, ვიდრე პარტიას შეეძლო მიეცა. იძლეოდნენ რა ასეთ წინადადებას, ამხანაგებს ეგონათ, რომ ეს ორგანო ამით უფრო დაუახლოვდება პარტიას და ნაკლებ შეაფერხებს საქმეს, ვიდრე სახალხო განათლების კომისარიატი. ეს თვალსაზრისი შემცდარია და ჩვენ კატეგორიულად უნდა გავილაშქროთ მის წინააღმდეგ. იმას რომ თავი გავანებოთ, რომ მთ. საპ. სახ. გან. კომიტეტის მუშაობა უფრო მომჭირნეობით წავა იმდენად, რამდენადაც ჩვენ გვექნება საერთო აპარატი სახალხო განათლების კომისარიატთან, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდობის აღზრდა, რომელიც აწევს სახალხო განათლების კომისარიატს და მის სასკოლო განყოფილებას, შეადგენს ერთად-ერთ ძირითად საგანს მთელ კომუნისტური აღმზრდელობისას, და იმის აღიარება, რომ სკოლის გარეშე მუშაობა მოზარდთა შორის, რომელსაც აწარმოებს მთ. საპ. სახ. განათლების კომიტეტი—შეიძლოა გამოიყოს და სახელმძღვანელოდ დაუახლოვდეს პარტიას, ხოლო ბავშვთა შორის მუშაობა, სასკოლო ჰასაკის ახალგაზრდობის აღმზრდელობითი მუშაობა—შეიძლება დააყენოთ პარტიის დაშორებით—ეს თვალსაზრისი სრულებით არ არის სწორე, ვინაიდან ჩვენი მთელი მომავალი სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის სიმძიმე, რაც დრო წავა, გადავა არა დიდ წლოვან მცხოვრებლებზე, რომლის დიდი ნაწილიც უკვე არ იძლევა იმედს, და რომლებზედაც ქაღალდის ხარჯვაც კი არ ღირს, არამედ იმ შთამომავლობაზე, რომელიც ცოცხლობს დ იზრდება არა გახრწნის გზაზე მდგარ საზოგადოების ატმოსფერაში. თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს შევქმნათ ორგანიზაციული მუშაობა, კომუნისტურ აღზრდის განსავითარებლათ, მაშინ ჩვენი ყველა ორგანოები, რომელნიც ამ საქმეს აწარმოებენ, გავაძლიეროთ კომუნისტურ ძალებით რომ მთავარ საპოლიტ. სახ. განათ. კომიტეტს შეეძლოს აიტანოს ყველა ის მუშაობა, რომელიც მას ზედ აწევს. იგი, ამხანაგებო, სათანადოთ უნდა შევსებულ იყოს საჭირო პარტიულ ძალებით. მაშინ, როდესაც ჩვენ წინ აღიძროდა ხოლმე რომელიმე საკითხი, ჩვენ ვახდენდით დიდ ძალთა მობილიზაციას. ჩვენ დღესაც შეგვიძლიან ასევე მოვიქცეთ ამ ორგანოთა და მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტის ყველა დანარჩენ ორგანოთა მიმართ. ადგილობრივაც და აქაც ამხანაგებს ესმით ეს და ამიტომ ყრილობამ ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომელიც ხაზს გაუსვამს ამ მუშაობის საჭიროებას და აუცილებლობას.

ეხლა, ამხანაგებო, მე ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო, იმ ურთიერთ დამოკიდებულებას, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს ჩვენ სააგიტაციო საპროპაგანდო და საგუბერნიო საპოლიტიკო-განმანათლებლო საბჭოთა შორის. ავიღოთ უფრო ნორმალური გუბერნიები. ჩვენ წარმოგვიდგენია ისეთი მდგომარეობა, როდესაც სააგიტაციო-საგანმანათლებლო საბჭოები არ უნდა დავტვირთოთ მძიმე აპარატებით, რომელთაც შეეძლებათ ისეთი სამუშაოს წარმოება, რომლის გასახელმწიფოებრივობა მოსახერხებელია. სამაგიეროდ ასეთი აპარატი უნდა იყოს ძლიერი იდეურად და შემოქმედებითი ძალთა მხრივაც, რომ საგუბერნიო საპოლიტიკო-განმანათლებლო საბჭოს მუშაობას გაუწიოს ხელმძღვანელობა, რომ კონტროლი გაუწიოს მის მუშაობას, გახდეს ინსპექტორათ ამ მუშაობისა და ამამოძრავებლათ, და თანაც თავისი სათანადო მუშაობა, რომელიც არ შეიძლება გამოიყოს პარტიის სახელმძღვანელო სხვა ფუნქციებისაგან, დააყენოს ღირსეულ დონეზე.

ამიტომ ხამი, ხუთი, შვიდი კაცი—აი ამ აპარატის შემადგენლობა, მაგრამ ეს აპარატი უნდა იყოს საკმაოდ ძლიერი და აქ თავი უნდა მოიყარონ, რაც კი გუბერნიაში მოიძებნება საუკეთესო სააგიტაციო და საპროპაგანდო ძალები. ამ თვალსაზრისით სააგიტაციო განყოფილების მიზანი უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ აწარმოოს სახელმძღვანელო მუშაობა.

ეხლა ამხანაგებო, მე მინდა ვთქვა ერთი ორი სიტყვა ჩვენი სააგიტაციო საპროპაგანდო ორგანოების პირდაპირი მიზნის შესახებ. ამხანაგებო, თქვენ ყველამ ალბად შენიშნეთ, განსაკუთრებით პარტიის დამსახურებულმა წევრებმა, რომ ჩვენი აგიტაცია და პროპაგანდა იმ მომენტიდან, რაც ჩვენს ხელისუფლების სათავეში მოვექეცით და თან რამოდენიმედ ვგრძნობდით ჩვენს თავს შეუდრეკლად—ძლიერ დაეცა ღირსების მხრივ. როგორ უხეიროდ აწარმოებენ ხშირად ჩვენს გაზეთებს ადგილობრივ, როგორ ხშირად ავსებენ მათ ობივატელურ ფელეტონებით! მათ ძარღვში საცოცხლო სისხლი არა სცემს, და არ ანსახიერებენ და აშუქებენ იმ კითხვებს, რომელზედაც ისინი უნდა შეჩერებულიყვნენ. თქვენ რომ მოუსმინოთ მთელ რიგს ჩვენი პარტიულ ახლად გამომცხვარ აგიტატორებისას, დაინახავთ, მათი სიტყვები სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. მრავალი ბეჭდვითი თხზულებანი არ აკმაყოფილებენ აგრეთვე მკითხველს. თუ გინდ გადასინჯეთ ჩვენი ცენტრალური ორგანოები, მაგალითად, „პრავდა“ და თუ შეადარებთ „პრავდას“ იმ დროისას, როცა ჩვენ ვილტვოდით ხელისუფლებისაკენ ოქტომბრის რევოლიუციის წინ, თქვენ დაინახავთ, რამდენად წინანდელი ორგანოები უკეთესი იყვნენ სტილის მხრივაც, მასალების დამუშავების და შინაარსის მხრივაც. ეს, რასაკვირველია, ხვედრია თვითეულ პარტიისა, რომელიც ხელისუფლებისკენ მიმსწრაფ პარტიიდან გადაიქცევა ხოლმე უკვე მართველ პარტიად. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ძლიერ დავაქვეითოთ ჩვენი აგიტაცია და პროპაგანდა—ეს ძალიან ძვირად დაგვიჯდება. ჩვენ ძალიან გვმართებს პროპაგანდის გაძლიერება, შემდეგ ამისა ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ამხანაგებს და ყველა პარტიულ ძალებს, რომელნიც ყოველ წუთს აწარმოებენ მუშაობას მცხოვრებთა იმ ჯგუფებს შორის, რომელთაც ჩვენ ვრაცხთ განსაზღვრულ მომენტში შეტევის საგნად. ჩვენ რომ შევეხოთ ეხლა პროპაგანდის და აგიტაციის საქმის დაყენებას გლეხობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსად იმდენი სისულელე არ წარმოთქმულა, რამდენიც ჩვენი აგიტაციის დროს გლეხთა შორის. ჩვენს განკარგულებაში ძლიერ სუსტი და გამოუცდელი ძალები იყო. ისინი ხშირად დიდი ენტუზიაზმით მიემართებოდენ სოფლად, მაგრამ სრულებით არ არჩევდენ, რომ მუშებ შორის სულ სხვანაირი აგიტაციაა საჭირო და გლეხებ შორის სულ სხვანაირი, რომ არ არის მიზანშეწონილი გლეხებ შორის აგიტაცია გაწიოთ სოციალიზმის შესახებ და დაარწმუნოთ ისინი, რომ სოციალიზმი აუცილებლათ უნდა იყოს. ამხანაგებმა ვერ შეიგნეს, რომ შესაფერისი კომუნისტური პროპაგანდა უნდა სწარმოებდეს გლეხთა განსაზღვრულ წრეებთა შორის, განსაზღვრულ მომენტში,—და ასეთი შეცდომები ჩვენ ბევრი დაუშვით. ავიღოთ ახლა აგიტაციის წარმოება წითელ ლაშქარში. ჩვენს ახალგაზრდა აგიტატორებს ვერ გაურჩევიათ, რომ ის, რაც გამოსადეგია მუშისათვის, არ გამოადგება წითელ ლაშქრელს და გლეხს. ამნაირი შეცდომები ძლიერ ბევრი იყო დაშვებული და ყველაზე უმთავრესი კი ის იყო რომ არ მოგვეპოვებოდა ისეთი ორგანოები, რომელნიც გასწვრთნიდენ ჩვენს ახალგაზრდა კომუნისტებს. არავინ ამ საქმეს ყურს არ უგდებდა და დიდს მნიშვნელობასაც არ აკუთნებდნენ.

## საბჭოთა საქართველოში

**მილიციაში.** ქალ. ბათომის და ბათომის ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსად დაინიშა ამხ. მიქაბერიძე. ოლქის უფროსის თანამდებობის დროებით მოვალეობის ასრულებას შეუდგა ამხ. ვასაძე, უკანასკნელს ევალება დაუყონებლივ წარმოადგინოს საოლქო კომისარიატის შემცირებული შტატების სია.

**საზოგადო კვება.** საზოგადო კვების განყოფილება მოთავსებულია კომუნალურ მართველობის შენობაში. განყოფილების განკარგულების ქვეშ იმყოფება ათი სასადილო, რომელთა რიცხვშიც შედის მუშათა მაგიდაც. საჭიროებისადაგვარად განზრახულია კიდევ რამდენიმე სასადილოს გახსნა. სასადილოებში იკვებება დაახლოებით 3 ½ ათასი კაცი.

**მიტინგი ქედაში.**

28 მარტს სოფ. ქედაში აჭარის რაიონის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის ინიციატივით მოხდა მუშების და გლეხების მიტინგი, რომელზედაც ამხ. ქოსაშვილმა მდაბიო სიტყვაში მოუწოდა ხალხს შეკავშირებისაკენ და განუმარტა ახლად მომხდარი გადატრიალების მნიშვნელობა, საბჭოთა მთავრობის დამყარება და მისი მოქმედება.

ყველაფრის ახსნა-განმარტების შემდეგ გლეხებმა დასვეს ზოგიერთი საკითხები, რომელიც იქვე იქნა რევკომის წევრების მიერ განმარტებული, მიტინგის მიერ გამოტანილი იყო რეზოლიუცია, რომელშიაც ისინი ესალმებიან წითელ არმიას, როგორც ერთად-ერთ განმათავისუფლებელ ელემენტს და სიტყვას სდებენ, რომ პირნათლათ დაიცავენ საბჭოთა ძალა-უფლებას.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ პროვინცია ძალიან დაინტერესებულია უკანასკნელი ამბებით და საჭიროა იქ გამოცდილი ამხანაგების გაგზავნა.

„უწყება“.

## აფხაზეთში

**ბათომი.** 9 აპრილი. (დეპეშა). ბათომში მომხდარ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ ამხ. ორჯონიკიძე, ქავთარაძე, ელიავა და აფხაზეთის რევკომის წარმომადგენელნი ამხ. ემბა და ლაკობა, გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილება:

1) აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდის ღიად რჩება საბჭოთა აფხაზეთის საბჭ. რუსეთთან თუ საბჭ. საქართველოსთან ფედერაციის საკითხი და აფხაზეთი ცხადდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. 2) პარტიული ორგანიზაცია კონფერენციამდის იწოდება რუსეთის კომუნისტურ პარტიის საორგანიზაციო ბიუროთ აფხაზეთში და მოქმედებს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის კავკასიის ბიუროს დირექტივებით. 3) საქართველოს რევკომის დეკრეტები აფხაზეთის რევკომმა მასალად უნდა გამოიყენოს, რათა ორთავე რევკომების მოქმედება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდეს. 4) კომუნისტურ პარტიის ორგბიურო აფხაზეთში ყოველივე ზომებს იღებს ეროვნული შუღლის აღმოსაფხვრელად, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ ჩამოაგდო საქართველოს და აფხაზეთის ხალხთა შორის.

**აფხაზეთის წითელი ლაშქრის შექმნა.**

**სოხუმი.** 5 აპრილი. აფხაზეთის სამხედრო კომისრის ამხ. ლაკობას ბრძანებით, აფხაზეთში დაიწყო მოხალისეთა წითელი ლაშქრის შედგენა, პირველ რიგში წითელი ცხენოსანთა რაზმი სდგება. წითელ ლაშქრელთა ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო ხა[ჯ]ით და ულუფით. ლაშქარში ჩაწერა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

**აფხაზეთის რევკომის რადიო**

**სოხუმი.** 5 აპრილი. აფხაზეთის რევკომმა, აფხაზეთის საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარების გამო, შემდეგი რადიოთი მიმართა მთელს მსოფლიოს:

„მშრომელთა სურვილით დაიბადა ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა—აფხაზეთი. აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების პირველი ყრილობა საბოლოოდ გადასწყვეტს ხალხის ბედ-იღბალს. მცირე ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ წითელი ლაშქარი დიდ განმათავისუფლებელ როლსა თამაშობს და აგრეთვე მაჩვენებელია იმისა, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ ერთი მუშტი კიდევ ჰკრა მცირე ერების მჩაგვრელ ყველა იმპერიალისტებს და მათ ლაქიებს სოციალ-გამცემლებს.

პატარა საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა სახელით ვუგზავნით სალამს დიდ მუშურ-გლეხურ ქვეყანას—საბჭოთა რუსეთს და ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკები დაგვეხმარებიან და დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აფხაზეთი მათთან კავშირით პირნათლად დაიცავს რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლიუციის დიდ მონაპოვართ და ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში სოციალურ რევოლიუციის საქმეს.

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს, გაუმარჯოს მთელ მსოფლიოს მშრომელთა კომუნიზმისთვის დიად ბრძოლას, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

## საბჭოთა რუსეთში.

**აღმოსავლეთ კომუნისტ ქალების თათბირი.**

**მოსკოვი.** 11 აპრილი. (რადიო). პირველათ არა მარტო საბჭოთა რუსეთში, არამედ მთელ ქვეყნიერებაზე შესდგა აღმოსავლეთ ხალხების კომუნისტ ქალების თათბირი. აქ გაირჩა საკითხები აღმოსავლეთის ქალის ეკონომიური და უფლებრივ მდგომარეობის შესახებ. წარმოდგენილნი იყვნენ რესპუბლიკები: სათათრეთი, ბაშკირეთი, თურქესტანი, აზერბეიჯანი, ყირიმის რესპუბლიკა, კირგიზეთი, კავკასიის ოლქები, დასახლებული მთიელი ხალხებით, ციმბირი და მთელი წყება გუბერნიებისა თურქულ მოსახლეობით. თათბირმა თვალსაჩინოდ ნათელჰყო, რომ ჩვენი პარტიის გავლენა ქალთა განყოფილებების დახმარებით გავრცელებულია საბჭოთა რუსეთის შორეულ მივარდნილ მხარეშიაც კი. იქ, სადაც არც ისე დიდიხნის წინეთ გამეფებული იყო საუკუნოებით განმტკიცებული ქალის მონობა, ამ ჟამად სწარმოებს გაღრმავებული მოძრაობა. აღმოსავლეთის ქალი არა თუ იხდის ჩადრს თავის სახიდან, არამედ იგი ეზიარება საბჭოთა აღმაშენებლობას. აღმოსავლეთის ხალხთა შორის ქალს უპირველეს ყოვლისა იმონებს რელიგიური ცრუმორწმუნეობა. მუშაობის მთავარი დედა-ძარღვი არის ქალის კულტურულად ამაღლება. დელეგატ ქალებს, ბაშკირეთის რესპუბლიკის მაგალითით ირჩევენ სახალხო მოსამართლეებათ, ადგილობრივ კანონების გადამსინჯავ კომისიებში და სხვ. ერთ-ერთ პირველ დაწყებით საშუალებათ, ჩამორჩენილ ქალების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში ჩასაბმელათ თათბირმა იცნო კლუბების მოწყობა, სადაც მოთავსებულ იქნება წერა-კითხვის სკოლები, ბაგები, სასადილოები და სხვ. დაწესებულებანი. თათბირმა დაადგინა ივნისში, მოსკოვში მოწვეულ იქნას აღმოსავლეთ ქალების სრულიად რუსეთის ყრილობა. ამ თათბირმა გასაოცარი აღტაცებით და თანხმობით ჩაიარა, ინტერნაციონალის ელფერით აღბეჭდილმა.

**პური მუშას და არა სპეკულიანტს.**

**მოსკოვი.** 11 აპრილი. (რადიო) თავისუფალი ვაჭრობა, რომელმაც გლეხს ბევრი სარგებლობა მოუტანა, არაფერს არ აძლევდა მუშას. თავისუფალი პური და სხვა სურსათი, მათი სიძვირის გამო მუშებისათვის მიუწდომელი იყო. მუშას არ ჰქონდა საშუალება ეყიდა პური თავისუფალ ფასებში, მას არაფერი ჰქონდა სოფლის ნაწარმოებზე გადასაცვლელად. აუცილებელი იყო პროლეტარების დაცვა და იმის მიღწევა, რომ თავისუფალი პური არ ასცდენოდა მუშის ხელს. 9 აპრილს გამოქვეყნებულ 3 დეკრეტს მიზნათ აქვს დაიფაროს მუშათა კლასის კვების საქმე ბურჟუაზიულ ზრახვებისაგან დეკრეტი ტარიფების შესახებ სპობს სამუშაო ხელფასის საერთო ჯამის გადიდების და დაჯილდოვების განსაზღვრას, ნატურალური დაჯილდოვების დეკრეტი კი აძლევს მუშას საქონლის ფონდს სოფლის ნაწარმოებზე გასაცვლელად.

დეკრეტს კოოპერაციის შესახებ მიზნათ აქვს კერძო შუაკაცების და სპეკულიანტების ჩამოშორება ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეში. ყველა ამის შედეგათ პროლეტარები ღებულობენ: 1) გადასახადის სახით სოფლიდან წამოღებულ სურსათის ულუფას. 2) ფულს გადიდებული ტარიფით, ქსელის გაფართოებისა და გაძლიერებული შრომის გამო. 3) საკუთარ წარმოების საგნების ნაწილს ნატურალური პრემიის სახით, რომელსაც კოოპერატივების საშუალებით სცვლიან სოფლის ნაწარმოებზე. სასურსათო გადასახადი და ზედმეტი სურსათის თავისუფალი ყიდვა გაყიდვა ადგილობრივ ბაზაზე აძლევს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არა მხოლოთ გლეხს, არამედ მუშსაც იმით, რომ ბაზაზე შემოსული სურსათის დიდი ნაწილი რჩება მათ ხელში.

**სრულიად რუსეთის პროლეტარულ მწერალთა კავშირი.**

**მოსკოვი** 11 აპრ. (რადიო). სრულიად რუსეთის პროლეტარულ მწერალთა კავშირის გამგეობის უკანასკნელ კრებაზე დამტკიცებულ იქმნა კავშირის წესდება, გამომუშავებულ იქმნა ხარჯთაღრიცხვა, ამორჩეულ იქმნა „კომიაჩეიკა“, დასახულ იქმნა კავშირის მოქმედება პროლეტარულ შემოქმედების დასაბეჭდათ და პროპაგანდის მოსაწყობათ. განზრახულია საჯარო სალამოების მთელი რიგი. შეუდგნენ პროლეტარულ მწერალთა პირველ კრებულის შედგენას. ხსენებულ კავშირის ხელოვნების მუშაკთა და სოციალისტურ კულტურის კავშირებთან შეერთების საკითხი გადაეცა განსახილველათ პროლეტარულ მწერალთა გაფართოვებულ კონფერენციას, რომელიც შესდგება 15 მაისს მოსკოვში.

## საზღვარ-გარეთ

**ინგლისის პროლეტარიატის გამოსვლა**

**რიგა.** 11 აპრილი (რადიო). ლონდონის მთავრობის მიერ მოწვეულს კონფერენციის შემდეგ ნახშირის მალაროების მუშათა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამართა ნახევარი საათით ცალკე თათბირი. მუშათა პარტიის წევრმა ხოდჯესმა თათბირს წარუდგინა შეური გებლობის სულით გამსჭვალული მთელი ახსნა-განმარტება. რკინის გზელები და ტრანსპორტის მუშები ცალკე თათბირობდნენ. ამ კრებების მონაწილენი აცხადებენ, რომ საქმე საერთო გაფიცვისკენ იხრება. რკინის გზელების, ტრანსპორტისა და ნახშირის მალაროების მუშების გაფიცვა [illegible] 2,285,000 ადამიანს, და თუ ამ რიცხვს მიუმატებთ 2,225,000 ამ ჟამად უმუშევრათ მყოფთ, მაშინ საერთო გაფიცვის გამოცხადების დროს ინგლისში თითქმის 5 მილიონი მუშა შესწყვეტს მუშაობას.

**გაფიცვა იზრდება.**

**რიგა.** 11 აპრილი. (რადიო). ინგლისში გაფიცვა დაიწყება სამშაბათს, არის ცნობა, ვითომც მაღაროების მფლობელთა ფინანსიური კომისია მზათ არის დააკმაყოფილოს ნახშირის მაღაროების მუშათა მოთხოვნილებანი. პოლიცია გაძლიერებულია. ცხადდება საგანგებო წესები. მთავრობა წინადადებას აძლევს მშვიდობიან მოქალაქეთ შეჰკრან თავდასაცავი კავშირები.

**კომუნიზმი საბერძნეთში.**

**ოდესა.** 1 აპრილი. საერთაშორისო კავშირის კონსტანტინოპოლის განყოფილების მდივანმა ამხ. მაქსუმოსმა ოდესაზე გამოვლის დროს შემდეგი ცნობები გადმოგვცა საბერძნეთში კომუნისტური მოძრაობის შესახებ.

—მაისის 17 სალონიკში დანიშნულია საბერძნეთის კომუნისტური პარტიის კონგრესი კომუნისტური ინტერნაციონალში შესვლის გამოსარკვევად. ამხ. მაქსუმოსმა დასძინა, რომ მთელ საბერძნეთში მარტის დასაწყისში გაფიცვა მოხდა, რომელსაც პირველ-ხანად ეკონომიური ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი, პოლიტიკური მოძრაობად იქცა კომუნისტური ლოზუნგებით.

**მოსწყინდათ ფულების ხარჯვა.**

**ბერლინი.** 8 აპრილი. (რადიო). თავად ლვოვის შეკითხვაზედ—გაუწევენ თუ არა ვრანგელის არმიას დახმარებას- ბრიანმა უპასუხა, რომ შეუძლებელია ვრანგელის ჯარზედ დაუსრულებელი ფულების ხარჯის მოთხოვნა, და ვრანგელისეულ არმიის დარჩენა უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიაზედ საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით შეუწყნარებელიაო. ვრანგელის არმიის დაშლა აუცილებელია. საფრანგეთის მთავრობის აზრით საკითხის საუკეთესოდ გადაწყვეტა იქნებოდა, რომ ვრანგელის თანამყოლნი რუსეთში დაბრუნდებოდნენ.

**კონფერენცია ვაშინგტონში.**

**ლონდონი.** 8 აპრილი. (რადიო). ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ახალ პრეზიდენტ გარდინგისაგან ნიუ-იორკიდან ანტანტის ყველა მთავრობათა წარმომადგენელთ მოუვიდათ მიწვევის ბარათი, რათა თავისი წარმომადგენლები გაგზავნონ ვაშინგტონში კონფერენციაზე დასასწრებლად. კონფერენცია განიხილავს საკითხთა მთელს რიგს, მათ შორის საკითხს მოკავშირეთა ვალებისას, ზარალის ანაზღაურებისას და საქონლის გაცვლა-გამოცვლისას. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენლები: საფრანგეთისა, ინგლისისა, იტალიისა, იაპონიისა და გერმანიისა. კონფერენცია მოწვეულ იქმნება ზაფხულის დასაწყისში.

**ზემო სილეზიაში.**

**ბერლინი.** 8 აპრ. (რადიო). გერმანიის მთავრობამ გადასცა ანტანტას მთავრობათ და მოკავშირეთა კომისიის ოფიციალური განცხადება პლებისციტის შედეგების შესახებ ზემო სილეზიაში. გერმანიის მთავრობა აღნიშნავს, რომ პლებისციტის თანახმად ზემო სილეზია გერმანიის ხელში გადადის. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ალაგას უმრავლესობა პოლონეთთან შეერთებას მიემხრო. ზემო სილეზიის მთელი ოლქის გერმანიასთან შეერთებას იმით ასაბუთებენ, რომ ზემო სილეზიის დანაწილება ხელშეკრულების ძალით შეუძლებელია.

**ბურჟუაზიული ზავით უკმაყოფილონი არიან.**

**ლიონი.** 12 აპრილი. (რადიო). ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟასპარმა ანტვერპენში წარმოთქმულ გრძელ სიტყვაში მოიგონა, რომ ბელგიის ხალხმა გმირულად გადაიტანა ომიანობის საშინელი ტანჯვა, მაგრამ ბელგიის ხალხი გულ ნაკლულია და უკმაყოფილოა განმტკიცებულის ზავით. ანტანტის სახელმწიფოებს ალბად დაავიწყდათ, რომ ბელგია ერთ-ერთი გამარჯვებული სახელმწიფოთაგანია.

**რევოლიუციონური მოძრაობა სირიაში.**

**ლონდონი.** 3 აპრ. გაზეთი „ტაიმსი“ იტყობინება ცნობებს სირიაში მღელვარების შესახებ. ადგილობრივი მცხოვრებლები დაეცნენ დაბას კიუნეიტრას, მოკლეს საფრანგეთის რაზმის უფროსი ოფიცერი და განაიარაღეს ფრანგი ჯარის კაცნი. მოძრაობის ლიკვიდაციისათვის დამასკიდან გაიგზავნა ჯარი და ჰაეროპლანები, მაგრამ ამ ზომებმა მცირე გავლენა იქონია. ამბოხება ჩრდილოეთითაც ვრცელდება.

**მღელვარება მუშათა შორის.**

**ბერლინი.** 1 აპრ. ტურინში პოლიციამ მიშელინის ქარხანა დაიკავა დათხოვნილ მუშების მიზეზით მომხდარ არეულობის გამო. ფლორენციაში რამდენიმე ქარხნის მუშების მთელი შემადგენლობა დათხოვნილია და ეს ქარხნებიც პოლიციამ დაიკავა. თანაგრძნობის ნიშნად ქარხნის მუშებმა მუშაობა მიატოვეს.

**ინგლისის პროლეტარიატის გამოსვლები.**

**ნაუენი.** 9 აპრილი (რადიო). თემთა

# აკადემია პოეზიის

ქართულ ხელოვნების სასახლესთან ეწყობა აკადემია პოეზიის. მის წინააღმდეგ სდგება ოპოზიცია. მაგრამ საჭირო გაგება იმ მიზნების, რომელთაც პოეზიის აკადემია ისახავს—რომ წინააღმდეგობა მალე გაჰქრეს.

საქართველოში ყველა არტისტულ დარგებში პოეზია უფრო მეტ ხალხს იზიდავს, ამიტომ გასაგებია პოეტების სიმრავლე.

ჯერ კიდევ ანტიურ ქვეყნის მწერლებმა იცოდენ, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა, სხვა უცხოელები ამას მხოლოდ იმეორებენ, გასაგებია აგრეთვე დებულებაც, რომ პოეზია არის საქართველოს გამართლება.

უკანასკნელ საუკუნეში ბევრ სხვა ანომალიასთან ქართულ პოეზიას ერთი ზნე დასჩემდა, მისთვის სრულიად შეუმჩნევლად მიდის პოეზიის ტეხნიკის ზრდა. ძველი გაგება შთაგონებულ უბრალო ამღერების დღეს სასაცილოა. ფრანგმა პოეტებმა მართლაც მიაღწიეს იმ ხაზს, რომ ასე გაგებული უბრალოება სისულელეთ გამოაცხადეს. დღეს არავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ვაგნერი და სკრიაბინი მთლიანად არ ტეხავდეს მუსიკის ძველ გაგებას—მაგრამ რაც გასაგებია მუსიკაში—ის სადაო გამხდარა პოეზიაში, ყოველ შემთხვევაში საქართველოში.

უპირველეს ყოვლისა ეს გაუგებრობა უცოდინარობაზე არის დამყარებული, და ის ხალხი, რომელიც სხვა დროს თავს იჭერს თეატრის და მუსიკის დაფასებაში—მარტო იმიტომ, რომ კითხვა შეუძლია—ავტორიტეტათ მოაქვს თავი პოეზიაში.

ნამდვილათ უკანასკნელ დროს პოეზიამ ისეთი გზები გახსნა, იმდენი ტეხნიკური მიღწევები დაიმკვიდრა, რომ შესაძლებელია, ყველაზე უფრო მისთვის იყოს საჭირო ფრთხილი მოპყრობა. მალარმე და ლაფარგი ახალი ბარიერია პოეზიის და იმათი ნაჩვენები გზები მარტო ლიტერატურის ისტორიით არ ამოიწურება.

ყოველ შემთხვევაში, პოეზიის ახალ მწერვალებამდე მისვლამდიაც საჭიროა მეტი ცოდნა და მეტი ანალიზი, ვინემ ეს ჩვენ დროს ეტყობა. დღეს ჩვენშიც და უცხოეთშიაც არიან აუარებელი სტუდიები და სასწავლებლები, სადაც თავიდანვე ახალგაზრდები სწავლობენ: მუსიკას, მხატვრობას, დრამატიულ ხელოვნებას, მხოლოდ პოეზია ჯერ ვერ გამხდარა დამოუკიდებელ შესწავლის ობიექტათ. წარსულში კი, როცა, გავიმეოროთ, უფრო უბრალო იყო პოეტური შემოქმედება, განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული პოეზიის სწავლას. ზოგიერთებს, როგორც არისტოტელს მთელი სისტემაც ჰქონდა პოეტიკის და, საშუალო საუკუნეებშიაც მოწაფეთათვის აუცილებელი იყო ლათინური ლექსების წერა სკოლაში, ამ ჩვეულებამ ევროპაში თითქმის რემბომდინაც მოატანა. ამიტომ გასაგები ხდება რატომ იციან ფრანგმა პოეტებმა ასე დიდებულათ ანტიური ლექსი. საქართველოშიც წინათ თითქმის ასე იყო, ამას შესახებ ამბობს «ჭაშნიკი» მამუკა ბარათაშვილის, გამოკვლევა პოეტი გიორგი ლეონიძისა და აგრეთვე საისტორიო ბარბარე ჯორჯაძის და ილია ჭავჭავაძის დავა, სადაც პირველი იცავდა მხასიტყვაობას. ჩვენ რასაკვირველია შორს ვართ იმისგან, რომ სკოლებში ყველა თვის ისწავლებოდეს ლათინური ლექსი—მაგრამ პოეტისთვის, რომ აუცილებელია პოეზიის შესწავლაც—ესეც უდავოა.

განზრახულ პოეზიის აკადემიას მიზნათ აქვს, რომ პოეტებისთვის შეჰქმნას ამგვარი სკოლა, სადაც გარჩეული იქნება ლექსის პრობლემები და ამასთან დაკავშირებული ლიტერატურა. აქ ახალგაზრდა პოეტები, რომელნიც თავისთავიდან იწყებენ ისტორიას, შეისწავლიან პოეზიის ნამდვილ ისტორიას და აგრეთვე ერთი მეორესთან უბრალო დამოკიდებულებით უფრო პირდაპირ შეხედავენ ლექსს და მის ლაბორატორიას. ამასთანავე აკადემიაში პოეზიაზე საუბრებს შეუძლია შეჰქმნას ინტიმი, რაც ასე აუცილებელი არის შემოქმედებისათვის. პოეზიაში არის ისეთი საკითხები, რომელნიც მარტო პოეტებისთვის არის საინტერესო. ანალოგიური ლაბორატორია უნდა შეიქნეს აგრეთვე პროლეტარულ პოეზიის შესწავლისთვის, თუ ეს ტეხნიკურად აკადემიასთან არ მოეწყო—ამ მიზნებით იწყებს არსებობას პოეზიის აკადემია.

**ტიციან ტაბიძე.**

პალატაში ლოიდ ჯორჯის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ინგლისის მუშებში დიდი აღელვება გამოიწვია, რომელნიც ფიქრობენ, რომ ამ სიტყვით დაიხურა კარები შემდეგ მოლაპარაკებისთვის.... მდამახინჯებულია)... ცალკე მხარეებმა (დაადგინეს აწარმოვონ მოლაპარაკება რეიტერის სააგენტო ამბობს, რომ ამის წყალობით მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა. ინგლისის პრესა დიდ თავდაჭერილობას იჩენს გაფიცვის შესახებ. და აღნიშნავს იმ დიდ დაბრკოლებებს, რომელიც წინ ეღობება კონფლიქტის დამთავრებას. ტრანსპორტის მუშებს, რომელთაც მიიღეს გაფიცვის რეზოლიუცია, როგორც სჩანს, ჰსურთ სანამ გაფიცვას შეუერთებოდნენ დაუცადონ ზოგიერთ შედეგებს სხვა და სხვა ადგილებში. შოტლანდიიდან იტყობინებიან, რომ მოხდა რამდენიმე ექსცესი გაფიცულების მხრივ. ფაივში აღმართეს წითელი დროშა. ახლო ქალაქების პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა ბოლო მოეღო არა სასურველ სცენებისათვის; დაჭრილთა რიცხვი ფრიად შესამჩნევია, ქალაქის ელექტრონის სადგური სრულიად დანგრეულია.

**მენშევიკური მთავრობა.**

**სტამბოლი**, 6 აპრ. (რადიო). სტამბოლში ჩამოსულ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას მოკავშირენი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. მათ ფარული დაცინვით და სიბრალულით ხვდებიან.

**საფრანგეთის მთავრობის განცხადება.**

**კონსტანტინოპოლი.** 1 აპრ. საფრანგეთის მთავრობამ აცნობა გენ. ვრანგელს რომ იგი უარს ამბობს მისი არმიის შენახ ხარჯებზე. საფრანგეთის მთავრობა ცხადებს, რომ იგი მზათ არის გადასხას ვრანგელის ჯარი სამშობლოში, რისთვისაც წინასწარ იშუამდგომლებს ამნისტიაზე, ან და გადაიყვანოს ისინი სამხრეთ ამერიკაში, ან დაბოლოს მიიღოს სამსახურში სახელმწიფოების ლეგიონებში, ვრანგელმა საფრანგეთის ამგვარ გადაწყვეტილებაზე პროტესტი განაცხადა.

**მუშათა მოძრაობა გერმანიაში.**

**ნაუენი**, 1 აპრ (ამერიკის რადიო) „როტე-ფანე" იტყობინება, რომ ბერლინსა და ჰამბურგში მოხდა დიდი დემონსტრაციები, რომლებსაც შეიძლება დიდი შედეგები მოყვეს. ეს დემონსტრაციები დასაწყისია საბოლოო ბრძოლისა კაპიტალისტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა აუცილებელი შეიქმნა იმიტომ, რომ პროლეტართა შორის მონარქისტების პროვოკაციის საშუალებით ნიადაგი ემზადებოდა კონტრ-რევოლიუციას. როგორც მარცხენა, ისე მემარჯვენე პრესა სთვლის, რომ გერმანიაში მუშათა მოძრაობას ფრიად სერიოზული ხასიათი აქვს. ამ შიშს, როგორც სჩანს, მთავრობაც იზიარებს, რომელიც თვითდაცვისათვის საჭირო ზომებს იღებს.

# მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

### განცხადება

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა იმ უცხო ვაჭრებისა და ფირმების შესახებ, რომელნიც ისურვებენ საქართველოსთან სავაჭრო სამრეწველო დამოკიდებულების აღდგენას.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი დაინტერესებულ პირთა, ჯგუფებისა და ფირმების საყურადღებოდ აცხადებს, რომ რესპუბლიკის მთელ საგარეო ვაჭრობას, საქონლის შემოტანას და გატანას და აგრეთვე სატრანზიტო ვაჭრობას, აწარმოებს რესპუბლიკის მთავრობის მხოლოდ ერთი ორგანო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

საბჭოთა საქართველოს მთავრობა სცნობს საქართველოს ყოფილი მთავრობის მიერ საქონლის შემოტანისა და გატანის შესახებ უცხოელებთან დადებულ ყველა ხელშეკრულებას. საბჭოთა საქართველოს მთავრობა იღებს თავის თავზე აგრეთვე იმ მოვალეობათა და ვალდებულებათა განაღდებას, რომელიც გათვალისწინებულია ყოფილ მთავრობის მიერ უცხოელებთან დადებულ ხელშეკრულებებით.

საბჭოთა საქართველოს მთავრობა სცნობს საქართველოს ყოფილ მთავრობის მიერ დადებულ კონცესიებს, ამასთანავე როგორც ძველ, ისე ახალ კონცესიონერებს ეძლევათ სრული გარანტია იმისა, რომ მათ მიერ შემოტანილი მასალები და ტეხნიკური იარაღები სრულიად ხელუხლებელი იქნება, და რომ მათთვე მიეცემათ სათანადო და შესაფერი პირობები მუშაობისათვის.

ის გემები და ხომალდები, რომელნიც შემოვლენ საბჭოთა საქართველოს ნავთსადგურებში და აგრეთვე მათ მიერ შემოტანილი უცხოეთის მოქალაქეთა და ფირმების კუთვნილი საქონელი, თავისუფალნი არიან ყოველგვარ რეკვიზიციისა, სეკვესტრისა და კონფისკაციისაგან. უცხოელთა გემებს და ხომალდებს უფლება აქვთ უკანვე დაბრუნებისა ყოველ დროს და ყოველ მიმართულებით. ამასთანავე აღნიშნული გემები საქართველოს ტერიტორიის წყლებში და ნავთსადგურებში საბჭოთა საქართველოს სათანადო ხელისუფალთა მიერ უზრუნველყოფილ იქნებიან თანახმად საერთაშორისო უფლებათა და ჩვეულებათა ნორმებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბ. რევკომ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საგარეო ვაჭრობ. სახ. კომისარი **შ. ელიავა.**

გარეშე საქ. სახ. კომისარი **ა. სვანიძე.**

1921 წ. აპრილის 10.

ქალ. თბილისი.

### დადგენილება

**შრომის კომისარიატისა ქალთა მუშაობის შესახებ.**

1. აკრძალულია ქალთა შრომის დაშვება ფიზიკურად სამძიმო, ღამის, მიწისქვეშა და ზოგიერთ განსაკუთრებით მავნე და საშიშ სამუშაოზე.

**შენიშვნა:** განსაკუთრებით მავნე და საშიშ სამუშაოთა სია კერძოდ იქმნება გამოქვეყნებული

2. წარმოებაში ქალთა ზედმეტი მუშაობის შემოღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედ-მეტ სამუშაოს წარმოება საერთოდ ნებადართულია და თუ სამუშაოსათვის არ კმარან მამაკაცები, რაიც უნდა დამოწმებულ იქმნას შრომის ინსპექტორის მიერ.

3. ქალთათვის ღამის მორიგეობის დაწესება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცთა რიცხვი არ არის საკმაო, რაც უნდა დამოწმებულ იქმნას შრომის დაცვის იმავე ორგანოს მიერ.

4. ორსულობის დროს ქალებს, რომელნიც ფიზიკურ მუშაობას ეწევიან, უნდა მიეცეთ შვებულება მშობიარობამდე რვა კვირის წინ და რვა კვირითვე მშობიარობის შემდეგ, მხოლოდ ყველა დანარჩენთ მშობიარობის 6 კვირით წინ და 6 კვირით მშობიარობის შემდეგ.

5. ქალებს, რომლებიც ძუძუთი ასაზრდოებენ ბავშვებს სამუშაო დღის განმავლობაში, ყოველ სამი საათის შემდეგ ნება ეძლევათ დროებით, არა ნაკლებ ნახევარ საათისა, წავიდნენ დაწესებულება წარმოებიდან ბავშვის გამოსაკვებად.

6. ამ დადგენილების აუსრულებლობისათვის პასუხს აგებენ რესპუბლიკის რევოლიუციონური კანონების მიხედვით, როგორც წარმოება - დაწესებულებათა ადმინისტრაცია, ისე თვით მომუშავე ქალები.

შრომის სახალ. კომის. **ლ. დუმბაძე.**

საქ. ს. პ. კ. თავმჯ. **გ. ყურულიშვილი.**

**საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებს, ქუთაისის გუბერნიის, ბათომის და სოხუმის საოლქო კომისრებს და საქ. საპროფესიო კავშირთა საბჭოს.**

განსამარტებლად საქ. ს. ს. რევოლიუციონურ კომიტეტის აპრილის 3-ის ბრძანების № 30 (დაბეჭდილი იყო 9 აპრ. გაზ. „კომუნისტში") მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროულ დახმარებათ 10.000 მან. მიცემის შესახებ, გაუწყებთ ცნობათ თქვენის და თქვენ ხელქვეით დაწესებულებათათვის სახელმძღვანელოდ შემდეგს:

1) პირველ მუხლში იმ მუშა-მოსამსახურეთა შორის, რომელთაც უნდა მიეცეთ ბრძანებაში აღნიშნული დახმარება, უპირველეს ყოვლისა იგულისხმებიან ისეთი მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც ამ ბრძანების გამოქვეყნების დროს სამსახურში ირიცხებოდნენ და ყოფილ მთავრობისაგან მარტის ან შემდეგი თვეების ჯამაგირი არ მიუღიათ.

2) ამავე კატეგორიას შეადგენს აგრეთვე ყველა მუშა-მოსამსახური, რომელნიც ყოფილ (ე. ი. მენშევიკურ) მმართველობის დროს არ მსახურობდნენ, მაგრამ ამ ბრძანების გამოქვეყნების დროს უკვე სამსახურში ირიცხებოდნენ.

3) ბრძანების მესამე მუხლის შენიშვნაში „წინად გაცემულ თანხად" უნდა იგულისხმებოდეს ის თანხა, რომელიც ბრძანების გამოქვეყნებამდე გაცემულ იყო საბჭოთა დაწესებულების მიერ.

4. ბრძანების დამრღვევლად იგულისხმებიან როგორც ის დაწესებულებანი და სათანამდებო პასუხისმგებელი პირნი, რომელნიც ბრძანებას განზრახ არ შეასრულებენ, აგრეთვე ის მუშა-მოსამსახურენი, ვინც ბოროტად მოიხმარებს ამ ბრძანებას და ან ხელმეორეთ მიიღებს დახმარებას ან განიზრახავს მის მეორედ მიღებას.

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი **მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ბერძენიშვილი.**

### დეკრეტი № 18.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა ყოფილ დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის გაუქმებისა.

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს ყოფილ დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. მიეცეს წინადადება ფინანსთა სახალხო კომისარს გააუქმოს ყოფილ დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული ყველა კრედიტები.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ნაზარეტიანი.**

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წლის აპრილის 10.

თბილისი—სასახლე.

### ბრძანება № 36

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის მარტის 11-ს № 4-ს დეკრეტის დამატებად ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკის გზებზე სამხედრო წესების გამოცხადებისა და გზათა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო მობილიზაციის შემდეგ,—მათი ბინები თავისუფალია რეკვიზიციის და ჩასახლებისაგან.

**შენიშვნა:** განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც რეკვიზიცია ან ჩასახლება აუცილებელია, უკანასკნელი შეიძლება მოხდეს მხოლოდ გზათა კომისარის თანხმობით.

2. ყველა სათანადო დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ ევალებათ სასტიკათ ადევნონ თვალყური ამ ბრძანების სისწორით შესრულებას; ამ ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წლის, აპრილის 12.

### ბრძანება № 16.

ამა წლის მარტის 10-ს, № 6 ბრძანების დასამატებლად და შესაცვლელად, ქალაქის რევკომი აცხადებს ცნობად და სათანადო შესასრულებლად, რომ აღნიშნულ ბრძანებაში მოხსენებული პირნი (მობილიზაციის გამო გაწვეულნი მენშევიკების მთავრობის ლაშქარში, ან ომიანობის გამო თფილისიდან წასულნი-მუშები, გლეხები, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოებათა და დაწესებულებათა წვრილი მუშა-მოსამსახურენი, ინტელიგენტი მომუშავენი), რომელნიც მიმდინარე აპრილის 15-მდე არ დაუბრუნდებიან სამსახურის უკანასკნელ თანამდებობას, ჰკარგავენ უფლებას და აგრეთვე მათი ოჯახების წევრებიც—მიიღონ სურსათ-სანოვაგე და ყოველ გვარი ფულის კმაყოფა (აგრეთვე სალიკვიდაციო) ამ თანამდებობის მიხედვით.

გარდა ამისა აღნიშნულ ვადის შემდეგ გამოცხადებულთ აღარ აქვთ უფლება მიღებულ იქმნან იმ თანამდებობაზე, რომელზედაც იმყოფებოდნენ თებერვლის 26-მდე.

თფ. რევკომის თავმჯდ. მოადგილე **ლ. ღოღობერიძე.**

### შაბათობა

შაბათობის მომწყობ კომისიის სხდომაზე 9 აპრილს, რომელიც გაიმართა სამეურნეო სეკრეტარიატის შენობაში, პირველ შაბათობის დღეთ დანიშნულია 16 აპრილი. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მთავარი და დაინტერესებული დაწესებულებები, როგორც არსენალი, რკინის გზა და ტრამვაი არ იყვნენ სხდომაზე წარმოდგენილნი. ალბათ ეს დაწესებულებები აწარმოებენ მუშაობას შაბათობის მოსაწყობათ ადგილებზე. საანგარიშო სხდომაზე გამორკვეულ იყო შემდეგი უფრო საჩქარო სამუშევარი: 1) ქალაქის განაპირა ადგილებში, რომელიც დასახლებულია მუშებით, დადგმა 200 სვეტისა ელექტრონის ფარნებისათვის, 2) ხუდადოვის ტყის გაწმენდა ნაგვისაგან. ქალაქის ხევების და ღელეების გაწმენდა მოგროვილ უსუფთაობისაგან.

ზედმეტი მუშები გაიგზავნებიან კუკიის საქალაქო მინდორზე, რომელიც უნდა გაიწმინდოს ქვებისაგან და უსარგებლო ბალახისაგან. ეს სამუშაო, როგორც უფრო ადვილი და რომელსაც არ სჭირდება რაიმე იარაღები, განზრახულია მიენდოს ქალებს.

ინჟენერმა მუხარინსკიმ თავის მოხსენებაში ჩამოთვალა ყველა ის სამუშაონი, რომელთა შესრულებაც უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ: ხევების გამაგრება ვერაზე, ვარაზის-ხევის გაწმენდა, საბურთალოს და დიდუბის გაწმენდა მიწის და ქვების ზვავებისაგან, დიდუბეში ბოძების და ქვების ღობის აშენება, ბორანთან, მუხრანის ხიდთან, რიყეში არსებულ ნაგვიან ადგილების და მთელი მადათოვის კუნძულის გასუფთავება. ყველა ეს შესრულებულ უნდა იქმნას აუცილებლათ პირველ რიგში, რათა გაზაფხულის და ზაფხულის ნიაღვრებმა ქალაქს მოულოდნელათ არ მოუსწრონ.

ყველა ამისათვის საჭირო იქნება 1500 კაცი, 730 ნიჩაბი, 245 წერაქვი, 20 თოხი, 160 ურემი და სულ უმნიშვნელო ხე-ტყის მასალა.

ცხარე კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ვინ იქნებიან შაბათობის მუშები, ან ვის შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა, მხოლოთ კომუნისტებს, როგორც იყო ეს აღნიშნული გაზეთებში, თუ ყველა უპარტიო მოქალაქეთ. ამის გამო, რომ ეს საკითხი პრინციპიალურათ არ არის საბოლოვოდ გადაწყვეტილი კომპარტიის არც ცენტრალურ და არც თბილისის კომიტეტების მიერ, კრებამ გამოსთქვა აზრი, რომ შაბათობაში არაკომუნისტების მონაწილეობის უარისყოფა არაა სასურველი. წითელ არმიის ერთ-ერთმა დელეგატმა სხვა ქალაქებში მომხდარ შაბათობის პრაქტიკიდან მოიყვანა ძლიერ დამახასიათებელი ციფრები: ერთ შაბათობაში მონაწილეობას ღებულობდნენ 4000 კომუნისტი და 6500 უპარტიო. კრებამ დაამტკიცა შაბათობის ძირითადი პრინციპი: შაბათობა არ შეიძლება იყოს იძულებითი. ნათლად არის გატარებული შემდეგი აზრი: ქ. თბილისის პირველი შაბათობა უნდა იყოს მწყობრი, ლამაზი და ძალადაუტანებელ შრომის სილამაზის დღესასწაული. იგი უნდა იყოს კომუნისტურ შრომის ფორმათა ნაყოფიერების გამომსახველი და, რასაკვირველია არც ერთ მოქალაქეს არ უნდა აზიანებდეს იგი. შაბათობანი უნდა იყოს შრომის მხიარული და ცხოველი დღესასწაული, სხვანაირი არც შეიძლება იყოს. თათბირის ერთ ერთ მონაწილის მიერ გამოთქმულ აზრმა, რომ ქალაქის ნაგვიან ადგილების გასაწმენდად, პირველ რიგში გამოყვანილ უნდა იქმნენ დარაჯთა ზედამხედველობით ყველა ბურჟუაზიული ელემენტები, ვერ გამოიწვია კრების თანაგრძნობა, რადგანაც შაბათობის მომწყობ კომისიის მონაწილეთათვის სრულიად ცხადი იყო, რომ შაბათობანი, როგორც ერთ ერთი ფორმულა შრომის ბევრის პროპაგანდისა, არ უნდა წაავგვდნენ არაპჩევის ტიპის იძულებით სამუშაოებს. საკითხი იარაღის შესახებ გადაწყდა დადებითად, ყველა საჭირო იარაღები გადაცემული იქნება სამეურნეო კომიტეტის განკარგულებაში, რომელიც გაანაწილებს მათ მუშაობის ადგილებზე.

# ქრონიკა

**სატეხნიკო-სამეურნეო კომისია.**

10 აპრილს დასავლეთის რაიონის დასათვალიერებლად ბათომამდის გაემგზავრა სატეხნიკო-სამეურნეო კომისია, მასთან ერთად გაემგზავრა საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე.**

**მუხრანის მამული.** სასოფლო-სამეურნეო განყოფილების განკარგულებაში გადასცეს მუხრანის ეროვნული მამული. ეს მამული მოხმარებულ იქნება თბილისის საშუალო კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეთა, სახელმწიფო უნივერსიტეტის და ამიერ-კავკასიის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებისა და აგრეთვე მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელთა პრაქტიკულ მეცადინეობისათვის.

**მოძრავ შემადგენლობის აღწერა** 9 აპრილს მოხდა გენერალური აღწერა გამოუკლებლივ ყველა ვაგონებისა და ორთქლმავლებისა. ეს აღწერა გამოწვეულ იყო მოძრავ შემადგენლობის გამოსარკვევად საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რკინის გზებზე, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის პირდაპირი მიმოსვლის აღდგენის გამო.

**ფინანსთა სახალხო კომისარიატში.** ნ. ვ. აბრამიანი (ყოფილი ხმოსანი თბილისის ქალაქის საბჭოსი) დაინიშნა ინსტრუქტორთა კოლეგიის თავმჯდომარეთ საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში. შეიმუშავეს პროექტი ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ დაწესებულებათა და აგრეთვე ადგილობრივ საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების ორგანიზაციისა:

**წყალსადენი.** შეუდგნენ 12 ოთახიან შენობის აგებას ავჭალის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთათვის. ზაფხულამდე შენობა დამთავრებული იქნება.

**სახალხო განათლება.** სწავლის და აღზრდის სწორ დაყენებისათვის და ზოგად მეთოდის შემოღებისათვის, ქალაქის რევკომს განათლების განყოფილების მიერ ახლად დაარსებულ ბაღებში მოწვეული ჰყავს ახალი სპეციალისტი ინსტრუქტორი, აგრეთვე თბილისის სასწავლებლებში ტანთვარჯიშობის ინსტრუქტორი. განათლების განყოფილების მიერ გახსნილია ახალი სამკითხველო ამაღლების ქუჩაზე.

— **მსახიობ კ. შათირიშვილის დასაფლავება.** კვირას, აპრილის 10, კუკიის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ქართული სცენის მსახიობი კ. შათირიშვილის ნეშტი. განსვენებულის ცხედრის წინაშე წარმოსთქვეს მგრძნობიარე სიტყვა შალვა დადიანმა—ქართული ხელოვნების სახელით და აკ. ფაღავამ—ქართველ მსახიობთა სახელით.

— **მისვლა-მოსვლის თავისუფლება.** საგანგებო საქართველოს კომისიის თავმჯდომარემ კ. ცინცაძემ გაგზავნა თბილისის ქალაქის მილიციის სახელობაზე შემდეგი დეპეშა; მიღებულ ცნობების თანახმათ საქართველოს რევკომის დეკრეტის მიუხედავათ ხელისუფალნი ხელს უშლიან მოქალაქეთა თავისუფალ მოგზაურობას საქართველოს ტერიტორიაზე, ატუსაღებენ და იჭერენ მათ. ვხედავთ რა ამაში საქართველოს საგანგებო კომისიის დეკრეტის განზრახვით შეუსრულებლობას, წინადადებას ვაძლევთ ზედმიწევნით. იხელმძღვანელონ რევკომის დეკრეტით და არა შემთხვევაში არ შეუშალონ ხელი მოქალაქეთა თავისუფალ მისვლა-მოსვლას. ვინც ხსენებულ დეკრეტს და ამ განკარგულებას არ შეასრულებს, სასტიკათ აგებენ პასუხს, როგორც დამნაშავენი უმაღლეს ხელისუფლების განზრახ შეუსრულებლობაში.

**საინსტრუქტორო კურსები.** 5 აპრილს საინსტრუქტორო კურსებზე მეცადინეობა დაიწყო. ლექციები შემდეგ დარგებიდან იკითხება: 1) პროფესიონალური მოძრაობის ისტორია. 2) კავშირთა ორგანიზაციების პრინციპი. 3) სახალხო შრომის ორგანიზაცია. 4) საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაცია და მოღვაწეობა. 5) თანამედროვე მოძრაობა. 6) მესამე ინტერნაციონალის განვითარება და მოვალეობა,

— **მუშათა სახახლის შეკეთება** პროფესიონალურ საბჭოს პრეზიდიუმმა მუშათა სასახლის შესაკეთებლათ გადასდო 1,000,000 მან. ქვეყნით დიდ-

დარბაზი აზრათ აქვთ სხდომებისთვის მოაწყონ.

— **ნავთის გადაცვლა საქონელზე.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შემკეთებელ სახელოსნოების კომიტეტის გამგემ შუამდგომლობა აღძრა მელითონეთა კავშირის წინაშე, რათა ნება მიეცეს სახელოსნოს მუშებს გადასცვალონ თავისი კუთვნილი ნავთი მუშათა მცხოვრებიდან პირველ საჭიროების საგნებზე ახლო მდებარე სოფლებში. კომიტეტის გამგე 17 ფუთ. ნავთის გატანის ნებართვას თხოულობს.

— **ფინანსთა სახალხო-კომისარიატში.** ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესდგა კოლლეგია ნ. ვ. აბრამიანის (თავმჯდომარე), ო. ს. ზუხტეინის და პ. ა. გოთუას შემადგენლობით. კოლლეგიის დადგენილებები ძალაში შედის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ.

# ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**ქართულ დრამაში**

9 აპრილს სახელმწიფო დრამატიულ თეატრის სცენაზე ამ სეზონში პირველად დაიდგა დრამა „ლალატი" სუმბათაშვილ-იუჟინისა, რომელმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა. ახალ დეკორაციებში, სპეციალურად დახატულ მხატვარ სიდამონ-ერისთავის მიერ, პიესა დადგმულ იქნა წუწუნავას მიერ. მხატვარ სიდამონ-ერისთავმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის არის მშვენიერი მხატვარი-დეკორატორი, რომელიც ჰგრძნობს ტილოს, ფაქიზი მცოდნე აღმოსავლეთის სტილისა და შემომქმედი მშვენიერ ხაზ-ფერთა. „ლალატ"-ის დადგმა მეტად ამოხდენილი იყო. შესრულების მხრივ წარმოდგენამ ჩაიარა განსაკუთრებული შთაბეჭდილებით. ოთარ-ბეგის როლს ასრულებდა ერთი ნიჭიერი მსახიობთაგანი ქართულ დრამისა, ვ. გუნია, რომელმაც ოთარ ბეგის ტიპი განასახიერა დიდის ხელოვნებით. ბესოს როლში გამოვიდა ქართული სცენის ვეტერანი ვასო აბაშიძე, როგორც ყოველთვის სცენაზე უძველესი და ახალგაზრდა. მისი ფრაზები მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა კლასიკურია და სამაგალითო. მშვენიერი იყო დიდების მოყვარე რუქაას როლში — დონაურისა. აგრეთვე კარგები იყვნენ გამრეკელიძე და ჩერქეზიშვილისა. ერეკლეს როლი დიდის გრძნობით ჩაატარა ჭიაურელმა.

**სახალხო ოპერა**

სახალხო სახლში მომუშავე სახალხო ოპერის მუსიკალური სექცია გადავიდა სახელმწიფო ოპერის შემადგენლობაში „სახელმწიფო სახალხო ოპერის სახელით". სახალხო ოპერას ოპერების დასადგმელათ მიეცა რამოდენიმე დღე კვირაში, ახლო მომავალში საოპერო ტრუპის მიერ დადგმული იქნება „ფაუსტი". მზადდება: „სევილიელი დალაქ" და „კარმენი". ოპერის რეჟისორად დარჩება — ო. ა. შულგინისა. კომისრად დანიშნულია ნ. ა. ისკანდერი.

**ქართველ ხელოვანთა სასახლეში**

ქართულ ხელოვნების მოღვაწეთა მთავარი კომიტეტი ორგანიზაციულ მუშაობის შემდეგ, შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას. კომიტეტის საზოგადო კრებაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ კ. მაყაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეთ მ. ფირცხალავა, თავმჯდომარის ამხანაგად პაოლო იაშვილი და ხაზინადრად ვ. რუხაძე.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**კომპარტია.**

თბილისის კომიტეტმა პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლად დაადგინა რაიონებში მოაწყოს ბიურო შემდგარი ხუთი ძველი წევრისაგან. თბილისის კომიტეტის ყოველ რაიონში დანიშნულია პასუხისმგებელი მდივანი და ორგანიზატორები.

რადგანაც მესამე რ. კომ. თავის ფუნქციებს ავრცელებს თათრის მოედანზედაც, თბილისის კომიტეტს შეუძლებლათ მიაჩნია ორი რაიონულ კომიტეტის (მესამის და მეხუთის) არსებობა საბჭოთა ერთ ადმინისტრატიულ ერთეულში, დაადგინა: მეხუთე რაიონული კომიტეტი გადაკეთდეს მესამე რაიონის ქვერაიონულ კომიტეტათ და გააძლიეროს ამ უკანასკნელის მოქმედება.

**ს. კ. პ. ც. კ. სააგიტაციო და საპროპაგანდო განყოფილების კონსტრუქცია და ფუნქციები.**

განყოფილების მიზანს შეადგენს მთელი პარტიული და პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის მოწყობა და ხელმძღვანელობა საქართველოს ტერიტორიაზე. თავის მუშაობის განყოფილება ანხორციელებს ადგილობრივ პარტიულ ორგანოების საშუალებით (პარტიულ კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებანი).

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება, როგორც ხელმძღვანელი ორგანო, რესპუბლიკის მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილებას დავალებას აძლევს. განყოფილებასთან არსდება რეგულიარული სათათბირო კოლლეგია გამგის თავმჯდომარეობით, რომლის შემადგენლობაშიც შედიან წარმომადგენელნი საქარხნო, მთავარი პოლიტიკურ განათლებისა და ქალთა განყოფილებისა. განყოფილება ნაწილდება შემდეგ ქვეგანყოფილებათ: საპროპაგანდო, საგიტაციო, ეროვნულ უმცირესობათა და სალიტერატურო-საგამომცემლო.

**საგიტაციო ქვე-განყოფილება.**

1) საგიტაციო განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს, როგორც სიტყვით, ისე წერით აგიტაციის საქმეს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე. ქვე-განყოფილებას აღრიცხული ჰყავს ყველა პარტიული ამხანაგი ლექტორები და აგიტატორები, რათა გამოყენებულ იქნენ ისინი სხვა და სხვა კამპანიების საწარმოებლათ, მიტინგებისათვის, მოხსენებებისათვის. ქვე-განყოფილება ამზადებს მასალას საგიტაციო საკითხების თათბირისათვის, აწვდის ადგილობრივათ (გუბერნიებში და მაზრებში) წერილობით ინსტრუქციას საგიტაციო საკითხის შესახებ.

**საპროპაგანდო ქვე-განყოფილება.**

ქვე-განყოფილება მუშაობს სიტყვიერ და წერით აგიტაციის მოსაწყობათ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. იგი აწვდის პარტიულ კომიტეტებს ინსტრუქციას, იმუშავებს მათთვის პროგრამას, ღებულობს ზომებს საქართველოს მოსახლეობის შორის პოლიტიკურ ანბანის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. ქვე განყოფილება ინსტრუქციას აძლევს და იმუშავებს პროგრამებს სტაჟის მხრივ ახალგაზრდა კომუნისტთა მოკლე ვადიან კურსებისათვის.

**სალიტერატურო-საგამომცემლო ქვე-განყოფილება.**

ქვე განყოფილების მიზანს შეადგენს საგიტაციო-სალიტერატურო განყოფილების და საქართველოს კ. პ. ც. კ. მოამბის გამოცემა. ხელმძღვანელობა და ინსტრუქტორობა, საგიტაციო და საპროპაგანდო განყოფილებებთან ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა პრესისა.

**ეროვნულ უმცირესობ თა ქვე-განყოფილება.**

ქვე განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს მთელს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა შორის.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ მიიღო ყველა ზომები სახალხო განათლების კომისარიატთან მთავარ პოლიტიკურ განყოფილების მოსაწყობათ, რომელიც გააერთიანებს პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას რესპუბლიკაში.

**აღმრიცხველ განმანაწილებელი კომისია.**

სალიტერატურო-საგამომცემლო ქვეგანყოფილებამ ლიტერატურის წესიერათ განაწილებისათვის მოაწყო აღმრიცხველ-განმ ნათლებელი კომისია.

იმავე ქვე-განყოფილებამ მიიღო ზომები მოძრავი კინემატოგრაფის მოსაწყობათ, მომხდარ ამბების აზრის გასამარტებლად სოფლისათვის.

**კომუნისტური ლიტერატურა.**

სალიტერატურო საგამომცემლო ქვეგანყოფილებას განზრახული აქვს მთელი რიგი ფურცლებისა და ბროშიურების გამოცემა. ცენტრალურ მეჭდავ განყოფილებას ასაწყობათ გადაეცა უკვე 10 ბროშიურა.

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

**პროფკავშირების საბჭოს პლენუმის სხდომა.**

11 აპრილს საღამოს 5 ს. კინო თეატრ „მინიონში" შესდგა პროფესიონალ. კავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა, გაგრძელება 4 აპრ. შემდგარ ასეთივე სხდომისა. დარბაზი კვლავ გაჭედილია. თავმჯდომარედ ისევ ამხ. ყურულიშვილია. 1-ლი კითხვა, რომლის განხილვას შეუდგა სხდომა, იყო: საწარმოო პროფკავშირთა ნორმალური წესდება. მოხსენებას აკეთებს ამხ. თავმჯდომარე, მან სხდომას წარუდგინა ვრცელი და დასაბუთებული წესდება რომელიც თითეულ პუნქტის განხილვის შემდეგ უცვლელად და ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგი კითხვა, რომლის გარჩევას შეუდგა სხდომა, იყო: სახალხო სამეურნეო საბჭოს სტრუქტურა და მისი ურთიერთობა პროფკავშირებთან. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ვირაპი; მან დაწვრილებით განიხილა სამეურნეო საბჭოს საქმიანობა, მის ყველა შესაძლო დეფექტები. მან სთქვა: ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ჩვენს მუშაობას წვრილმან საკითხებში და კერძო ასპარეზზე მრავალი ნაკლი ექნება, მაგრამ მათი ამჟამად გათვალისწინება შეუძლებელია, ეს იქნებოდა დიდი, არსებითი კითხვის დეტალიზაცია, და ჩვენ კი უნდა მივისწრაფოდეთ არა დეტალიზაციისაკენ, არამედ კონკრეტიზაციისაკენ, უმთავრესი ისაა, რომ გამოსავალი, დასაყრდნობი ბაზა ჩვენი საქმიანობისა იყოს ჯანსაღი, საჭიროა სახალხო სამეურნეო საბჭოს სტრუქტურის ლოგიკური მთლიანობა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასეა; კომუნისტური აღმშენებლობა ემყარება საბჭოთა ბაზას და ხელმძღვანელობს საბჭოთა მეთოდებით, ამ მხრივ საქართველოში გაცილებით უკეთ პირობებში ვიმყოფებით შედარებით რუსეთთან, თუ იქ ხელმძღვანელობდენ მეთაურთა გენიალური პროგნოზით, თეორიულად დამუშავებულ მეთოდებით, ჩვენ აქ გვიხდება ვიხმაროთ უკვე სინამდვილეში ნაცდი მეთოდები, მასთან შეგუებულ და პრაქტიკულ განხორციელების მხრივ სავსებით დამუშავებულ მეთოდები. თუ რუსეთის საბჭოთა მუშაკებს უხდებოდათ აღმშენებლობა, რამოდენიმედ მაინც a priori, ჩვენ საქართველოს საბჭოთა აღმშენებლებს გვიხდება მუშაობა a posteriori. ასეთია ზოგადი მოხაზულებანი ამხ. ვირაპისა, შემდეგ ის სვამს კითხვას კონკრეტულად და განაგრძობს: თუ ბურჟუაზიის და კაპიტალის ჰეგემონიის ხანაში პროლეტარიატს უხდებოდა პერსონალურ ინტერესებზე ზრუნვა, და არ ჰქონდა საშუალება უფრო ვრცელ და ფართე ასპარეზზე გადაეტანა თავისი საქმიანობა, დღეს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში მას უხდება ზრუნვა გიგანტურ მასშტაბით განზომილ ორგანიზაციულ—აღმშენებლობითი საქმისათვის და სახალხო სამეურნეო საბჭო უნდა იყოს ხელმძღვანელი ამ ფართე მუშაობისა, ფოკუსი, რომელშიდაც თავს მოიყრის პროლეტარიატის საქმიანობის ყველა ხაზები. ამ ნიადაგზე მყარდება მჭიდრო და აუცილებელი კავშირი სამეურნეო საბჭოსა და საწარმოო კავშირებს შორის. შემდეგ მას მოჰყავს გეგმა სამეურნეო საბჭოს სტრუქტურისა. ამბობს: საბჭოს ეკონომიური განყოფილება შესდგება 4 ქვეგანყოფილებისაგან:

1. საწარმოო ორგანიზაციული.
2. მუშათა-მომარაგების.
3. მუშა ძალის გამოყენების.
4. ზოგადი.

შემდეგ ამხ. ვირაპი დაწვრილებით საზღვრავს ამ ქვეგანყოფილებათა მუშაობის და ფუნქციების ფარგლებს. უდიდესი და უძნელესი დანიშნულება, მისი აზრით, დაკისრებული აქვს პირველ ქვეგანყოფილებას, რომელმაც უნდა განახორციელოს ძირითადი და კარდინალური საბჭოთა საქმე: მუშათა კლასის ფართე ორგანიზაციულ აღმშენებლობაში ჩაბმა, მათი გაერთიანებულ საქმიანობის აქტუალურ ნიადაგზე დაყენება. რასაკვირველია, დიდ მნიშვნელოვანია მეორე ქვეგანყოფილების მუშაობაც, რომელმაც ფართე და მწყობრ ნიადაგზე უნდა დააყენოს მუშათა მომარაგება ყოველგვარ საჭირო ნივთებით და მასალებით.

მე-3 ქვეგანყ. დანიშნულებაა უმთავრესად საწარმოო კავშირთა აგებულების პრინციპის დაცვა, მისი დანიშნულებაა მუშა ძალთა სპეციალიზაცია, მისი გამოყენების მაქსიმალურ დონემდე ასაყვანად. უკანასკნელი ქვეგანყოფილება თამაშობს დანარჩენ სამის საურთიერთშორისო როლს. კონტაქტი დასახელებულ ქვეგანყოფილებათა მუშაობაში აუცილებელია მუშაობის წარმატებისთვის და ამ საქმას მოგვარება დაკისრებული აქვს სწორედ უკანასკნელ ქვეგანყოფილებას. თითეულ ამ ნაწილებმა მეცნიერულ ნიადაგზე უნდა დააყენონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. შემდეგ ლაპარაკობს ამხ. მგალობლიშვილი, რომელმაც მარტივათ და სისრულით გააშუქა ყველა ის საკითხები, რომელნიც მსმენელთა მიერ წერილობით იყო გადაცემული თავმჯდომარისათვის. სხვათაშორის, მან ილაპარაკა საგარეო ვაჭრობისა და იმ სავაჭრო ხელშეკრულებათა შესახებ, რომელნიც ყოფილ მთავრობის მიერ დადებულ იყო დასავლ. ევროპის ზოგიერთ ინდუსტრიალ სახელმწიფოებთან. ჩვენ ამ ხელშეკრულებათა რეალიზაციაზედ უარს არ ვიტყვით, მხოლოდ ზოგიერთ ანტისაბჭოთა ტენდენციებს ჩავცლით მათო. აგრეთვე მომხსენებელმა ილაპარაკა რუსეთის და საქართველოს სამეურნეო საბჭოთა საქმიანობის და მეთოდების მსგავსება-განსხვავებაზე. მან განაცხადა, რომ საერთო გეზი ორივე საბჭოთა მუშაობისა, ნაკარნახევი რევოლიუციონურ სიტუაციით და პროლეტარულ დიქტატურით, რასაკვირველია, ერთი იქნება, ხოლო აუცილებელი ყოველ აღმშენებლობითი მუშაობისათვის მოქნილობა ჩვენს სამეურნეო საბჭოს აუცილებლათ ექნება. ის ყოველთვის შეგუებული იქნება საქართველოს ეკონომიურ სინამდვილესთან. შემდეგ მან გამოაქვეყნა სახალხო სამეურნეო საბჭოს სტრუქტურისა და აგებულების თეზისები აგებული გონიერ და მიზანშეწონილ საფუძველზე; რასაკვირველია, მსმენელთათვის ამის გამო ის უცვლელად და ერთხმად მისაღები იყო. შემდეგ აღძრულ კითხვათა გარშემო ლაპარაკობენ რამოდენიმე ამხანაგები, მათ შორის ამხ. რცხილაძემ დაასურათა სამეურნეო აღმშენებლობის ხიროულე. დასასრულ თავმჯდომარე სხდომას დასრულებულათ აცხადებს. დამსწრენი აღტაცებით მღერიან ინტერნაციონალს. ძლიერი იყო სულიერი ექსტაზი, რომელიც გამოიწვია ინტერნაციონალის მომხიბლავ ჰანგმა. მასში გამოსჭვიოდა ქარხნის მუშის გრდემლის ცემა, სოფლის მუშის ნამგლის ტრიალი და პროლეტარიატის მტკიცე ნებისყოფა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია მომავალ ორშაბათს.

ვინ—კან.

# ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**რკინის გზის დეპოში და მთავარ სახელოსნოებში.**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რკინის გზის დეპოს და მთავარ სახელოსნოს მუშებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხანაგ სლავინის და მამულაშვილისა თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა და მიმდინარე მომენტი", გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ დეპოს და მთავარ სახელოსნოების მუშა მოსამსახურეები მივესალმებით საერთო პოლიტიკას საბჭოთა მთავრობისას საქართველოში და რუსეთში და ვსცნობთ მას ნამდვილ სწორ ხაზათ. გვწამს, რომ დასავლეთის პროლეტარიატი აიღებს ხელში ძალაუფლებას და ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწევენ საერთო მიზნისკენ. გაძლევთ მუშურ სიტყვას, რომ გავამზადებთ ერთ ორთქლმავალს ზედმეტი მუშაობით „პარიზის კომუნის" სახელწოდებით. ნაგრეთვე მოვამზადებთ ერთ ორთქლმავალს და დავარქმევთ სახელად „1-ლ მაისს". გაუმარჯოს ს. ს. ს. რ. საქართველოს! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც აერთიანებს მუშათა ღარიბ გლეხთა მასებს! გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს ლენინს და ტროცკი!

ნ. ც—ლი.

# ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**პროვოკაცია სოფლათ.**

(მანგლისის რაიონიდან)

აღსრულდა! მოხდა ის, რაც კარგი ხანია უნდა მომხდარიყო, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა დაემხო და მის ნაცვლათ გამოცხადდა საბჭოთა მთავრობა, მაგრამ ამით ის არ ითქმის, რომ მტერი სამუდამოთ ძირიან-ფესვიანათ აღმოიფხვრა და ჩვენ ყოველივე დავათავეთ. ჯერ ბევრი საქმე გვაქვს, მტერი თუმცალა უკუქცეულია მხოლოთ, მარა მას არ სძინავს. ის ისე ადვილათ ვერ შესძლებს თავის ბატონობაზე ხელის აღებას და აი სწორეთ მენშევიკების ბაცაცა აგენტებმა საქართველოს მთავრობის დამარცხების შემდეგ პროვინციაში შეაფარეს თავი და ისარგებლეს რა მთავრობის ლოიალობით (მანიფესტით), ამოძვრენ სოროებიდან, შეუდგენ ბნელი საქმეების კეთებას, რომ როგორმე ხელი შეგვიშალონ სახელმწიფო აპარატის მოწყობაში და მით ნდობა დაუკარგონ ჩვენს პარტიას მშრომელთა მასაში. ისინი ეხლა ველარ დაუმტკიცებენ მშრომელთ, რომ კომუნისტები ხალხს ხვრეტენ, სცარცვავენ, ქალებს აუპატიურებენ და სხვა, როგორც ამას გვიმტკიცებდენ წინათ. ვინაიდან ბოლშევიკურმა მთავრობამ და მისმა სახელოვანმა წითელმა ლაშქარმა პირველ დღიდან საქართველოში შემოსვლისა დაუმტკიცა მშრომელთ მისდამი სიყვარული და თანაგრძნობა.

მაგრამ მენშევიკების აგენტები ეხლა სხვა პროვოკაციას ავრცელებენ ხალხში „ბოლშევიკები თქვენ განგებ გეპყრობიან აგრე, ჯერ მოსავალს ელიან და, როცა პურს მოიკით მაშინ ნახეთ, როგორ გაგცარცვავენო, თბილისიდან ღამით მიაქვთ მთელი სიმდიდრე ბაქოშიო და სხვა". ასეთ ჭორებს აგონებენ გლეხებს, რომ ხვნა-თესვაზედ გული აუცრუონ. „წყალ წაღებული ხავს ეკიდებოდაო" — სწორეთ ისე ამ ვაჟბატონების საქმე. მათ პროვოკაციას მოკლე ფეხი აქვს. გლეხების უმრავლესობა უკვე კარგათ იცნობს თავის მტერს და მოყვარეს, მაგრამ რომ პროვოკაციამ ხელი არ შეგვიშალოს საერთო საქმეში, საჭიროა მკაცრი ბრძოლა ასეთი მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ როგორ, რა გზით, რა იარაღით ხელში? ხალხის შეკავშირებით, განვითარებით. და აი სწორედ დღეს ყველა პარტიული ამხანაგის უწმინდესი მოვალეობაა მოვკიდოთ ხელი პარტიულ მუშაობას სოფლათ, მოვაწყოთ პარტიული ორგანიზაციები, იაჩეიკები, სკოლები და სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები, რის შემწეობითაც ბოლოს მოუღებთ მავნე ელემენტების პროვოკაციას სოფლათ.

მანგლისის რაიონში [illegible] თავს ძველი ძალები, რომლებიც განაგრძობენ ბნელ საქმეებს. [illegible] მოდის თანამდებობაზედ სხვადასხვა დაწესებულებებში, შეცდომაში შეყავთ ცენტრი და ღებულობენ მანდატებს. საჭიროა ცენტრმა მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს პროვინციაში ხალხის დანიშვნაში.

ეხლავე საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რომ გაიწმინდოს პროვინციაში ყველა დაწესებულებანი მავნე პირებისაგან; ამისთვის საჭიროა მეტი შეგნებული ძალები, რომელიც სოფლათ.

ამხ. მოგვეშველეთ პროვინციაში!

მანგლისის მილიცია, რომელსაც მეთაურობს ამხ. კიკნაძე თავის დონეზედ სდგას, რომელიც მადლობის ღირსია.

კვირას მანგლისში იმართება „კვირაობა", ამის შესახებ შემდეგ.

გიორგი ციმბირელი.

# ᲤᲝᲡᲢᲐ

**საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს** რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

**საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში.** მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

**პროფესიონალურ კავშირებს.** მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლლეგია.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

**პარტიული.**

**პარასკევს, 15 აპრილს** საღ. 6 საათზე (მუშათა სასახლე, მე 4 სართული № 51) დანიშნულია საბჭოთა მომუშავეების კავშირის გამგეობის კომფრაქციის სხდომა.

**პროფესიონალური.**

დაჭრილ დასახიჩრებულ კავშირის წევრთა საყურადღებოთ. ყოველი კავშირის წევრი, რომელიც არ მსახურობს არც რაიმე სხვა სამუშაო აქვს, დაუყონებლივ უნდა გამოცხადდეს კავშირში სარეგისტრაციოთ ორი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. კავშირის გამგეობა.

**სხვა და სხვა.**

ზაგსის განყოფ., არსებულ თბილისის გორრევკომის სამმართველოსთან აცხადებს, რომ ანტონ გიორგისძე იობაშვილმა განაცხადა თავის გვარის გამოცვლა „გაბაშიძე"-ს გვარზე.

## ᲪᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ „ᲒᲠᲣᲡᲢᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲣᲪᲔᲜᲢᲠᲝᲞᲔᲩᲐᲢ"ᲘᲡᲐ

დროებით მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე, № 11, ტელეფონი 5-96 და შესდგება შემდეგი განყოფილებისაგან: 1) იურიდიული საკონსულტაციო ბიურო, 2) მისამართების, 3) ლიტერატურა და გამოფენები (ყრილობებისთვის), 4) ბიბლიოთეკა და ტელეგრამების.

ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ განყოფილებაში საჭირო ცნობები, ორგანიზაციული ხასიათისა.

განყოფ ლების განკარგულებაში არიან აგრეთვე ყოველ გვარი იურიდიული მასალები (დეკრეტები, ბრძანებები, ინსტრუქციები, ყრილობის დადგენილებები და სხვა).

ცნობების ცენტრალური განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, დაუყოვნებლივ აცნობონ განყოფილებას მათი მისამართები და ტელეფონის ნომრები.

ცნობების ცენტრალური განყოფილება ამ დღეებში ხსნის ყველა გრუსტას საგიტპუნქტებთან ცნობების განყოფილებებს მცხოვრებთათვის.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ.

ამხანაგებო! ამ დღეებში განახლდა „ფურცელ"-ის გამოცემა. განზრახულია აგრეთვე საკუთარი გაზეთის და ჟურნალის გამოცემა. საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და მოწინავე ამხანაგებმა გაგვიწიონ ამ საქმეში ფართე დახმარება. ყოველგვარი ცნობები ახალგ. მუშათა მდგომარეობის, ორგანიზაციების მუშაობის, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეების შესახებ და აგრეთვე საზოგადო ხასიათის წერილები გამოგზავნილი უნდა იქნას „ფურცლის" რედაქციაში. რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ., № 22, მესამე სართული.

სარედაქციო კოლლეგია.